

# ვერსიამ

Region

№35


2019 სექტემბერი



ნიკოლოზ სეკარტველი  
საერთო ფართი  
59,7 ათასი კვ.კმ.

მამუკა ხაჩიძის მუხეტი.  
1993 წელი

# სანატორიუმი მეგობრობა



ურეკი, მაგნეტოტი თაყაიშვილის 61  
ტელ.: 599 10-16-95; 595 15-17-85; 599 77-65-11  
E-mail: [contact@megobroba.info](mailto:contact@megobroba.info)  
[www.megobroba.info/ka/](http://www.megobroba.info/ka/)



## სარჩევი

არქიმანდრიტის ზარი .....	2-4	155 წლისთავი .....	20-21
მურმან ლებანიძე .....	6-7	ფეხზე დაგიდგები ჩემო საქართველო! .....	22-23
იყიდება საქართველო .....	8-10	უნგაროდ მსახურების სამოცი წელი ..	24
„შურსა და ცილზე ამაღლებული“ .....	11-13	„შევცვალოთ სამყარო უკეთესობისაკენ“ .....	25-29
მერაბი ჩემს დღიურებში და დავით აღმაშენებლის თავგადასავალი .....	14-15	ამაზონს დედამინის ფილოტვეს უნოდებენ .....	30
ექიმი - ბომბების სპეციალისტი? .....	16-17	ურეჯის მომავალი ..	31
რედია რდ უიპლოინგი .....	18-19	ბუნების საოცრება - შავი მაგნიტური სილის სანაპირო .....	32-33
დავით სარაჯიშვილის დაბადებიდან		ბიჭიყო ასურავა - 80 .....	34-35
		ანუჯლოტები .....	36



მთავარი რედაქტორი და გამომცემელი

**ლელა სურმავა**

ბელ: 558 25 65 50

ელფოსტა: [Guriaregion14@mail.ru](mailto:Guriaregion14@mail.ru);

[lelasurmava@mail.ru](mailto:lelasurmava@mail.ru)

### კვირფასო მკითხველავო!

მოგვანოდეთ პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, ყურნალში განთავსება ფასიანია.

**ჟურნალი თავისუფალი ჰრასის ჰრინცივით ხელმძვანალოვს.**

რედაქციიში ვამოსული მასალის სიუხტაზა ჰასუხს აზავს ავტორი, ხოლო სარედაქციო ბაქსტა ჰასუხისმგებლობა რედაქციის ვამაჰვთს ანისრავა.

# არქიმანდრიტის ზარი


დღეს, ყველანი ვგრძნობთ, როგორ დაკარგა სიტყვამ ძალა, როგორ გაუფასურდა, როგორ დაეცა... ამ პრობლემაზე საუკეთესოდ წერს ცნობილი ღვთისმეტყველი, მამა ალექსანდრე შემენი: *სწორედ, სიტყვის დაცემით იწყება კაცობრიობის დაცემა. დაცემა კი ისაა, რომ სიტყვა შინაგანად გახდა სხვა, გახდა ტყუილი, ტყუილი საკუთარ აზრსა და მნიშვნელობაზე. ეშმაკს არ შეუქმნია ახალი ბოროტი სიტყვები, ისევე როგორც არ შეუქმნია და არც შეეძლო, შეექმნა სხვა სამყარო, ისე როგორც არ შეუქმნია და არც შეუძლია შექმნას, საერთოდ არაფერი. მთელი ტყუილი და მისი ტყუილის მთელი ძალა იმაშია, რომ მან არსებული სიტყვებით შექმნა სიტყვები სხვაზე, მოახდინა მათი უზურპაცია და ბოროტების იარაღად აქცია. აქედან გამომდინარე, იგი და ამა სოფლად მისი მსახურნი, ყოველთვის ნაქურდალ ენაზე ლაპარაკობენ, ანუ ენაზე, რომელიც ღმერთს მოჰპარეს. ამიტომ, მთავარი სიტყვის შინაარსი კი არაა, არამედ სიტყვის სინმინდე, როგორც მთელი დაცემული კაცობრიობა, დაცემული სიტყვაც ხსნას საჭიროებს. ამიტომ, ხსნა საკუთარ თავში ან სხვათა სიტყვებში კი არა, არამედ განწმენდასა და ღმერთისათვის სიტყვების დაბრუნებაში.*

რამდენადაც არქიმანდრიტ ადამის (ვახტანგ ახალაძის) შემოქმედებას ვიცნობ, პირადად მე, თავისუფლად, უანგაროდ, დაუბრკოლებლად შემიძლია ვალიარო, რომ მისი მხატვრული შემოქმედების თითოეული სიტყვა გამოტანჯული, განწმენდილი და ღმერთისათვის დაბრუნებულია.

*სიყვარულის დაცვა, ყოველთვის სახიფათო იყო და საზოგადოებისათვის არასასურველი. ამჟამად, მთლიანად რევოლუციურ საქმიანობად იქცა, - წერდა ოქტავიო პასი თავის მარტოობის დიალექტიკაში. პერიფრაზით ასეც შეიძლება ითქვას: მხატვრული სიტყვით, წმინდა სიტყვით, ზოგადად, ნამდვილი სიტყვით, სიყვარულისა და სამართლიანობის დაცვა ყოველთვის, ყველა დროსა და ფორმაციაში, სახიფათოა და საზოგადოებისათვის არასასურველი იყო. ამჟამად კი, მართლაც რევოლუციურ საქმიანობად იქცა.*

საერთოდ სიტყვა, როგორც ცოცხალი და ქმედითი ენერგიის მატარებელი ორგანიზმი. სიტყვა, რომელიც სააზროვნო არხების მეშვეობით, უშუალოდ გადადის სამეტყველო აპარატის ვარდისფერ მღვიმეებში, იქედან გამოღწეული კი - თვით ყველაზე შეუზღუდავ და გახსნილ ეთერში, ღია კოსმოსში, თავისი ენერჯისა და ბიოველის წყალობით, ადიდებს და ძერწავს ჰაერის უჩინარ ნაკადებს, უსამანო სივრცეში ქმნის საკუთარ აკუსტიკურ ფლერადობას, სიტყვა, რომელიც თავისი სისუფთავით, ტემპერამენტით, სიბრძნით, ტემპერატურით, მოქნილობით, სიფიცხითა თუ სიმკაცრით, რაგინდ უცნაურადაც არ უნდა ფლერდეს, ჯერაც ანგარიშგასაწევ ძალად რჩება, ბირთვული იარაღითა და სატელიტური ანტენებით გაჯერებულ სამყაროში, ამა ქვეყნის ძლიერთაგან მუდმივად, განუწყვეტლივ განეიტრალებასა და გაუფასურებას მოითხოვს.

იქმნება ჭეშმარიტება, რომ მსოფლიო საინფორმაციო ქსელის განვითარებაზე, საკომუნიკაციო სისტემებზე, პრესა-ტელევიზია-ინტერნეტზე, შოუბიზნესსა და სხვადასხვა სანახაობებზე გათვლილი და დახარჯული მილიარდობით დოლარი, მთელი და ეგ.წ. კულტურული პრო-



არქიმანდრიტი ადამი ახალაძე

გრესით სახელდებული, მიზანმიმართული და გულუხვი მფლანგველობა სწორედ სიტყვის, როგორც ჯანსაღი აზრის, როგორც ჭეშმარიტების მატარებელი კეთილი ნების წინააღმდეგ მიმართული ქრონიკული ბრძოლაა.

სულ უფრო და უფრო ვინროვდება ნამდვილი სიტყვის ასპარეზი, როგორც ტრიბუნის, რომელსაც მოუსმენენ, გაიგებენ, მიიღებენ... დღეს, ალბათ, არაფრისთვის არაა დრო ისე შეზღუდული, როგორც კეთილი აზრისათვის, როგორც ჭკვიანი, ნიჭიერი სიტყვისათვის. საკმარისია, თვალი გავადევნოთ ჩვენს სატელევიზიო სივრცეს და დავინახავთ, როგორი სიტყვის დათესვასა და გახარებას ემსახურება იგი.

ძალადობა, ფული, კაპიტალი, აგრესია, ნარკოტიკი, ბილწსიტყვაობა, გემოთმოყვარეობა, ცილისწამება თავისი სისხლშედეგებული, ნაირნაირი ემბლემებით, სახეებით... ერთი სიტყვით, როგორც ფუკოიამა იტყოდა, - სახეზეა მთელი სპექტრი *საშინელებათა ტრავმული ეფექტებისა...*

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს, ნელი მოქმედების ნაღმივით აფეთქებს ჩვენს ფსიქიკას, სულს, ფიზიკას... ჩვენს წინაშეა მასობრივი შემოღობა, პარანოია, ქონებისა და გონების გადანაწილების სამარცხვინო დისბალანსი. დარღვეულია ჰარმონია, XX საუკუნის მონაპოვარი, რომელიც დღეს თავისი სიმძლავრის ისეთ ფაზაშია შესული, რომ ინერციას ვეღარ დაარქმევ, მიუხედავად ყველაფრისა, დონ კიხოტი ისევ ცოცხლობს ლიტერატურისა და ლიტერატორთა სახით. ისევ ებრძვის ქარის ნისქვილებს, ისევ იხიბლება დულცინეათი, რადგან ჩვენ, ყველას ერთად ჯერ არ დაგვიწყებია სილამაზის, სიკეთისა და ღირსების გადასარჩენად განეული ბრძოლების ფასი.

ამიტომ, ჩვენ ამ უცნაურ და ჯიუტ კასტას მწერლობისას, ლიტერატორებისას, ისევ ძველებურად გვიყვარს და გვჯერა მხატვრული სიტყვის. ეს სიყვარული და რწმენა

გვაახლოებს არქიმანდრიტ ადამის შემოქმედებასთანაც.

მამა ადამი (ერისკაცობაში – ვახტანგ ახალაძე) ამ არაორდინალური ადამიანის, დიდებული მეცნიერის, ექიმის, ფილოსოფოსის, ღვთისმეტყველის, სასულიერო მოღვაწის, მწერლისა და პოეტის ცხოვრების წესი და შემოქმედება ერთი მთლიანობაა, სიტყვისა და საქმის განუყოფლობაა, ამიტომაც ეჭვიმუტანლად უჯერებ, როცა გეუბნება:

არ გავრბოდი...

გავურბოდი თოვლისა და წვიმის სისველეს,  
არც მელნისას, არც ცრემლებისას, არც სისხლისას...  
მათკენ ვილტვოდი – მიზიდავდნენ:  
უნდა მენერა, ისევ მენერა, ვენამებოდი.

ბუნებრივად გვახსენდება გალაკტიონის:  
მე სისხლით ვნერდი,

გულის სისხლით და არა მელნით...

აკაკიც ასე ენამებოდა:

ცრემლში მილესავს ნაღველი  
და მელნად ის მიხმარია.

მელნის, ცრემლისა და სისხლისაკენ ასეთ ლტოლვას დიდი სისავსე აჩენს, რომელიც გააზღმებით სინათლის ჩქერალებად გადმოღვრას ცდილობს, რათა ნათელი მოჰფინოს ყოველივე დაფარულს ცისქვეშეთში. არქიმანდრიტ ადამის ახალ წიგნს იმიტომ, რომ სახლია შენი! სათაურის ქვეშ აწრია – პროზაული ტექსტები, მხატვრული სიტყვის წინაშე დიდი მონინების გამოა, ვფიქრობ, ეს განმარტება.

დღევანდელი ლექსის მეტი წილი, ისევე როგორც პროზის, გაჩეხილ ტყეს ჰყავს, უყანგბადობით სულშეხუთულს. რითმა, რიტმი, მოტივი, მეტაფორა... სადღაც უღრანებში გაფრინდნენ, როგორც თბილ ქვეყნებში ჩიტები. თვით ინტონაციასაც ვერ დაიჭერ, ვინ ვინაა, ვერ გამოიცნობ, ვის ხმას ისმენ, რომელი ავტორია...

მხოლოდ ინტელექტის მონოტონური ჩაქუცებით ინსტიქტების მოსულიერება. ინსტიქტიც, თვითგადარჩენის ეს მდაბიო საფეხურიც, თითქოს მოუშვა და სამუდამოდ მოდუნდა. სადღა შეუძლია სამშობლოს, მეგობრობის, ქალის სიყვარული დაცვა. აღარც ჰორიზონტზე ჩამავალი მზის გამოსათხოვარი სხივი ჭიატობს სადმე.

ნოტიო, ცრემლით დანამული, სადა, ძუნწი და უსამკაულოა გრანელის ლექსი, იქნებ, ამის გამოც, დღემდე ყველაზე სასურველ პოეტად რჩება ხმაურით შეშლილი ახალგაზრდობისათვის:

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,  
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

სიმშვიდეს, რა ხანია, სამოთხე ჰქვია და იდუმალებითაა სავსე. მხატვრულ ტექსტებს რომ იდუმალება უნდა ახლდეს, ეს ქრესტომათიული ჭეშმარიტებაა. ლექსი ან უნდა ასხივებდეს, ან თავად ყვინთავდეს საიდუმლოს ველში და პოეზიის უჩვეულო ხილვები პაროლებივით ამოჰქონდეს:

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი... მკითხველს კი, საიდუმლოს ამოხსნის მწვავე სურვილი უნდა კლავდეს – ნეტა, რა ენერა იმ პერგამენტზე, რომლის ნაკითხვაც მხოლოდ გალაკტიონს შეეძლო?

იმიტომ, რომ სახლია შენი!-ში შეტანილი ნებისმიერი მოთხრობა თუ პროზაული ტექსტი, პირადად ჩემთვის, ამ საიდუმლოს შემცველია. კითხულობ, განიცდი, ხედავ,

მიჰყვები, იგებ, თანაუგრძნობ, ხარობ, სევდიანობ... და მაინც, იმ პერგამენტზე დაწერილისა არ იყოს, გრძნობ, რომ ბოლომდე ვერ ჩასწვდები, ვერ ამოხსნი ამ საიდუმლოს, ამ იდუმალებას, ფიქრობ, რომ სწორედ ესაა მწერლის გამარჯვებაც.

დღევანდელი მხატვრული ტექსტების უმეტესობა, ისეთივე ძალაგამოცლილი და იდუმალებაახდელია (ზოგის ხელში – ნამუსახდელიც), როგორც ნებისმიერი გამჭვირვალე ბოროტება სამყაროსი.

არსებობს იშვიათი ტექნიკით, ერთგვარი პროფესიონალიზმით შესრულებული, ერთი შეხედვით, გემოვნებიანი, საინტერესო თხრობა, რომელიც კითხვის პროცესში, სულაც არ აჩენს მოწყენილობის განცდას. მაგრამ დახურავ თუ არა წიგნს, რაღაც უცნაური სიცარიელე დაისადგურებს შენში, რომელიც ამ განზილებებს ჰგავს, ბავშვობაში საპნის ცისარტყელისფერ ბუშტებს ჰაერში რომ უშვებდი და ჩნდებოდა ილუზია – სფეროში ჩასმული, შენც მსუბუქად ირნეოდი, სივრცეში ხანგრძლივ მოგზაურობას იწყებდი. მართალია, ბუშტები ნამდაუნუმ სკდებოდნენ, მაგრამ სულის შებერვით, ჯიუტად განაგრძობდი ამ სასურველი შეგრძნებების აღდგენასა თუ გაღვივებას. პატარას, ჯერ არ შეეძლო მათი ლამაზი ფარფატი, თეთრი პეპლების ერთდღიანი ნათება. ცხოვრების მეტაფორად ექცია, მაგრამ ქვეცნობიერად ბავშვის სიჯიუტე, სიცოცხლის ხანმოკლე დღესასწაულის გახანგრძლივებას ცდილობდა.

ნამდვილი მხატვრული ნაწარმოები, რაღაც მნიშვნელოვანს უნდა ტოვებდეს მკითხველში. არქიმანდრიტ ადამის მთელი შემოქმედება ეკლადქცეული ამ მნიშვნელოვანი ღირებულებების გოლგოთის გზით მატარებელია. რადგან შემოქმედება, მაღალი გაგებით, ჭეშმარიტების დაცვა, დამონება და მისთვის მხატვრული ხორცმესხმაა. ეს კი, არაჩვეულებრივად გამოჩნდა არქიმანდრიტ ადამის ამ ახალ წიგნში.

შემოქმედებას ასაკი არ გააჩნია. ასაკს მხოლოდ დაუძლურებული სხეული აჩენს, და ეს ერთმა ასაკოვანმა ქართველმა პოეტმაც დაადასტურა: გაუმარჯოს სიბერეს, სიბერეც მზის ფერია... მზისფერი ადევს მამა ადამის მოხუც მეზალეს, რომელმაც იცის ბედნიერების ფასი. ჰერმან ჰესეს ნარმოსახვით გაშენებულ ბაღებში, სიბერის მწიფე ნაყოფები ბოლომდე ღირსებით ღუოდნენ. ასევე ხდება მოხუცი მეზალის თავს, რომელიც მოხუცი რომაა სწორედ ამის გამო წარმოუდგენლად – უთენია ნამომდგარი ახალაფეთქებულ ნუშის ხეს რომ დაინახავ, ბინდბუნდის მძღველი მზის სხივთა ათინათში, აი, იმგვარად ბედნიერი! ბედნიერების განცდის უნარს, ასაკი ვერ გართმევს, სამაგიეროდ, ბედნიერების უფლებას ერთმანეთს მხოლოდ ადამიანები ართმევენ. ასე წაართვეს სახლის მეპატრონეებმა მოხუც მეზალეს ბედნიერების განცდა. ასე გაუჩინეს მოხუცს, ბალის იძულებითი მიტოვების გამო, დანაშაულის გრძნობა: რცხვენოდა თითოეული ყვავილის, ფოთლის და კვირტის, თავის თავს იმ დედას ადარებდა, საკუთარი შვილები, საკუთარი სისხლი და ხორცი რომ მიჰყარა, მიატოვა, და ახლა უცხო ქალაქში, უცხო ბაღების ძიძად მსახურობდა...

საკუთარი სახლის, საკუთარი ეზოკარის, ბავშვობისა და გარდასული ჟამის გავლით, მამა ადამის (ვახტანგ ახ-



მაცა ჯონხაძე



ალაძის) შემოქმედებაში გადაშლილია, როგორც წარსულის, ისე დღევანდელი სამყაროს ბიოეთიკური, ფსიქოლოგიური, მორალური თუ ეკოლოგიური სურათები. მკურნალის, მწერლისა და წინასწარმეტყველის რენდგენული ხედვა და ექიმის მძიმე დიაგნოზი. ყოველივეს კი მაშველი რგოლივით ევლინება სარწმუნოებაში მტკიცედ მდგარი არქიმანდრიტის სულიერი ძალისხმევა და ძლევამოსილება – ურწმუნოებით დაზაფრულ, დაბნეულ ადამიანებს, ადამიანად ყოფნის მთელი სიმწვავე და ხიბლი რომ აუხსნას და განაცდევინოს.

რისი დაბრუნება გინდა? რა გსურს ყველაზე მეტად? რა იყო შენთვის ყველაზე სანუკვარი და მნიშვნელოვანი?.. აი, ამის და კიდევ უამრავი კითხვის საპასუხოდ, იხსნება მამა ადამის პირველქმნილი, თანდაყოლილი შეგრძნებების გაუხუნარი სამყარო.

უკვე ზრდასრული, საერო და რელიგიური ცოდნითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით აღსავსე მძლავრი ინტელექტის სათავე, პირველწყარო, ბავშვობისეული შეგრძნებებია. ამიტომ, ამ დაშიფრული, პოეტური ხატების შემხედვარეს, ბუნებრივად გამოგვაქვს დასკვნა, რომ არა მხოლოდ მოძღვრის, სასულიერო პირის, არქიმანდრიტის, არამედ, არც პატარა ვახტანგის ბავშვობა ყოფილა ჩვეულებრივი. უფრო ზუსტად, სევდითა და სიხარულით გაჯერებული მისი ბავშვობაც არ იყო ჩვეულებრივი ბავშვის ცხოვრება. რომ მისი ბავშვური განცდის ხარისხი, იმთავითვე ღრმა და შემაშფოთებლად არასაკისრულიც კი იყო. ამიტომ, ასე მგონია, მისი მფარველი ანგელოზის საზრუნავი და საფიქრალიც, გაცილებით მეტი იყო, რადგან იმთავითვე საოცრად ფაქიზი ემოციისა და მდიდარი ფანტაზიის მქონე ბავშვის დაცვა ევალებოდა. რათა ხიფათებგამოლწეულსა და დაკაცებულს, მომავალში სწორედ ამ ხაფანგებისა და ხიფათებისაგან ეხსნა ათასობით ცოდვილი სული. აღმოჩნდა, რომ ეს იყო და არის არა მხოლოდ, როგორც სასულიერო პირის, არამედ როგორც სიტყვის შემოქმედის, მწერლის, ვახტანგ ახალაძის მისიაც.

მაგას რა ენაღვლება, კვირაში შვიდი პარასკევი აქვსო. ჩემს გასაგონად რომ ჩაილაპარაკა პარასკევე ღამეს, სავსე მთვარიანობას მეჩაიეთა მერგოლურმა ქიაფია წარაღბაიამ და შუაცეცხლთან ახლადმოდგმული ცხელი რძე მოხვრიპა, პირი დამწვა, ორივე ყური ამენვა და ვიფიქრე...

ამ უალრესად ყოფითი, ვინმეს დასახასიათებლად უბოროტოდ წარმოთქმული ეს მსუბუქი შვიდი პარასკევი, გაოცების, ძიების, დარდის მიზეზად იქცევა კაცისათვის, რომელიც სიტყვისადმი უალრესად მგრძნობიარეა. აი, ჩვენს წინაშეა არქიმანდრიტ ადამის მიერ იშვიათი სიცხადით დახატული ყმანვილი კაცი – სუფთა, უანგარო, მიმნდობი, პატიოსანი, სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობით რომ იგებს, ყოველგვარი ეშმაკობის, ქვეტექსტის, ირონიის გარეშე და როგორც შორეულ გზას დამდგარი მეგზური, პარასკევების ძებნაში აღამებს და ათენებს. ამ ძებნისას, მკითხველის თვალწინ კალეიდოსკოპივით გადაიშლება მთელი სოფლის პეიზაჟები, სანათესაო, სამეზობლო, საგვარეულო ოდები თუ სახლები, კაკლისა და რცხილის ხეები, მშობლიური ინტონაციები. სურნელოვანი ბალები და კერიაზე შემომდგარი ნაირნაირი, მოთუხთუხე კერძები... არ ვიცი, რას ხედავდა მომაკვდავი ბოჩოლა! მე კი მის თვალეებში მთელი ჩვენი სოფელი დავინახე.

ათასნაირი წიგნი წაგვიკითხავს ომზე, მაგრამ, იშვიათად, ასეთი სიფაქიზით წარმოჩენილიყოს ომის საბედისწერო როლი სიყვარულის საქმეში... პარასკევების მაძებარი ბიჭი, ქიაფია წარაღბაი და ომიდან დაბრუნებული პალია. სიყვარულის ამ უბინო სამკუთხედის თითოეულ გმირს არანაირი საერთო არ გააჩნია ლიტერატურაში ცნობილი სასიყვარულო სამეულის ტრივიალურ გაგებასთან. თითოეულის განვლილი ცხოვრება, თუ ან გასავლელი წლები, საიდუმლოდ ინახავს ხელშეუხებელი, დაუმინებელი გრძნობის ძალას და მარადიულ ხატებას: მივხვდი, პალია ცოცხალი იმიტომ კი არ იყო, ომს, ჰოსპიტლებს, ტყვიას და ქირურგის დანას რომ გადაურჩა, არამედ იმიტომ, რომ ქიაფიას უყვარდა...

საოცარი ფენომენია მამა ადამი ჩვენს სინამდვილეში. ასეთები თითქოს მხოლოდ ისტორიული წარსულიდან გვახსოვს. იგი ზარივითაა, იმ ზარივით, ჯონ დონის სიტყვებად რომ წაანერა ჰემინგუემ თავის რომანს ვის უხმობს ზარი. ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან მოკიდებული, როცა ჩვენს სალიტერატურო სივრცეში გამოდიოდა ჟურნალი ჩვენი მწერლობა... ჩაფიქრებული მქონდა ეს სათაურით – ვის უხმობს მამა ადამის ზარი...

ზარი, რა თქმა უნდა, ჩვენ გვიხმობს, თითოეულ ჩვენთაგანს, ვინც სიყვარულის, რწმენის, სიტყვისა და სამშობლოს ფასი იცის. ამ წიგნით იმიტომ, რომ სახლია შენი! არქიმანდრიტი ადამი ცდილობს, თვალი აუხილოს ადამიანებს და მაცხოვარი, როგორც გიიომ აპოლინელმა აღმოაჩინა: ჟამის გუგაში ბროლია იესო. სწორედ ეს ბროლი დაანახოს, – იმიტომ, რომ სახლია შენი!

ამ წიგნითაც, ისე როგორც მთელი თავისი ღვაწლითა და მრავალმხრივი შემოქმედებით, ჩვენი სასულიერო პირების საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად, არქიმანდრიტი ადამი ცდილობს, თითოეული ჩვენთაგანი უძლები შევიღვივით, საკუთარ სახლს დაუბრუნოს. ხალხი კი, როგორადაც ერთ დროს გვახსოვს... ხალხი ისევ ერად აქციოს.

მაკა ჯოხაძე  
ფილოლოგიური მეცნიერებათა  
კანდიდატი, ესეისტი

თბილისში, ვაკის რაიონში, ელიზბარ მინდელის ქუჩაზე შენდება წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ტაძარი. გთხოვთ, შეიტანოთ თქვენი წვლილი, ერთად ავაშენოთ ღვთის სახლი. მადლობას გიხდით.

ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი  
გიორგი უგრეხელიძე

GE94LB0115137832317000  
LBRTGE22  
სს ლიბერთი ბანკი

GE64BG0000000670704800  
BAGAGE22  
სს საქართველოს ბანკი

GE73TB7344136080100005  
TBCBGE22  
სს თიბისი ბანკი





# მურმან ლებანიძე

## მიყვარს ქართულად...

მიყვარს ქართულად, მძულს ქართულად  
 ვმღერო ქართულად  
 მადლობა ღმერთს ნება დართულად,  
 შანსი მქონია, არ მომირთხამს  
 ფეხი თათრულად,  
 ვზივარ და ფეხი ფეხზე მიძევს, ეგეც ქართულად!  
 და კი ბატონო. თარგმნეთ რუსულად  
 თარგმნეთ სპარსულად  
 მაგრამ მე მიყვარს, მე მძულს  
 მე მწამს, მე ვწერ ქართულად  
 მე ყოვლად ქართველს,  
 ყოველივე მიყვარს ქართული  
 ამიტომაც ვარ ქართველებთან წელგამართული.

## აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს...

აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს...  
 ეს კაცია, ალბათ, თურქის თემის...  
 და მე ვყვირი:  
 – ჩემს სისხლს დალევს უწინამც!  
 და მე ვმღერო;  
 – აფხაზეთი ჩემი!  
 როსმე არგო (სხვა ხომალდი გუშინაც)  
 მოაპობდა ზვირთებს ნიჩბის ცემით...  
 და მე ვყვირი:  
 – მკვდარსა მნახვენ უწინამც!  
 და მე ვმღერო:  
 – აფხაზეთი ჩემი!  
 ზღვაო პონტის! რიფებს მალავს უჩინარს,  
 არა ერთის ზედ მიემსხვრა გემი...  
 და მე ვყვირი:  
 – ოხ, უწინამც! უწინამც!  
 და მე ვმღერო:  
 – აფხაზეთი ჩემი!

## ანა კალანდაძეს

ორმოცდახუთში,  
 როცა დაცხრნენ სისხლის წვიმები,  
 მზემ იჭიატა  
 და წყვდიადის ფარდა გადაჭრა,  
 ანაზღად გვესმა  
 ჩვენ წკრიალი შენი სიმების,  
 რომ წარღვნას  
 ნოეს კიდობანი უკვე გადარჩა.

მოვიხედე და  
 დაგინახე – შენ ყვავილს თვლიდი:  
 ეს – კორჩიოტა, ესეც – ბაია...  
 და მე გითხარი:  
 – ეს ბილიკი ზეცისკენ მიდის,  
 ფეხი დაადგი  
 ღრუბლის ქულას, ჩემო დაია.

ჩვენ ვბრუნდებოდით  
 სამშობლოში სისხლიან მინდვრით



მურმან ლებანიძე



ანა კალანდაძე

(გამოუცდელი  
და უხეში ჩვენი ჩანგებით),  
სადაც ჯვარს გეცვით.  
სად უგონოდ კაცის სისხლს ვღვრიდით.  
ომის ფრინველი  
სად სულს ნენდა ცეცხლის ქანგებით.

შენ ორი ქვეყნის  
საზღვრად იდექ, პანია ქალი,  
საკვირველ იყო  
და იდუმალ ჟღერა სიმების.  
მზე იყო მკრთალი,  
ყურს გიპყრობდა ქვეყანა მთვრალი  
და ფრთაანყობით  
მოფრინავენ სერაფიმები...

შენ მიგვანიშნე  
პოეზიის საგანი ზუსტი –  
წიალი სულის,  
კვალად ზეცის ლურჯი ნაჭერი;  
შენ შეახსენე  
სისხლით მაძღარს ყვავილი სუსტი,  
შენ უმაღლესი  
სათნოებით გულში დაგვჭერი...

მშვენიერება  
მათ, უგუნურთ, ამაოდ ჰლუპავს,  
მე ხომ გითხარი:  
– ეგ ბილიკი ზეცას გაიარს...  
დაადგი ფეხი  
გაბედულად გაპენტილ ღრუბელს:

ფეხი დაადგი  
ღრუბლის ქულას, ჩემო დაია!

დროდადრო მოვალ,  
გამხნევო და ვამხნევო რათა  
მონვედილი ხილით,  
შენი ხელით დასხმული ყავით.  
მოვიბაასოთ  
საიდუმლო ხმელთა და ცათა  
და უმაღლესი  
პოეზიის ვისუნთქოთ ჰავით.

ვინ უზენაესს  
და ზეციურს მიელტვის მხოლოდ,  
ვის – სისხლი გვნვეთავს  
ყოფიერით, ნაირ-ნაირით:  
მე მიხარია,  
რომ შენს გვერდით, შენს დროში ვცხოვრობ,  
რომ შენთან ერთად  
საზიარო ვსუნთქავ ჰაერით.

წაკითხულია  
ვარსკვლავთ ხომლი, მზის ბილინგვები,  
მინიერის და  
ბინიერის გშვენის მკვლელობა:  
ცის ბილიკებით,  
დედოფალო, ცის ბილიკებით,  
ცის ბილიკებით კვლავ განაგრძე შენი მსვლელობა...

ამაოდ დაშვრნენ,  
მათ, უგუნურთ, ლაჟვარდი ჰგუბეს,  
მე ხომ გითხარი:  
– ეგ ბილიკი ზეცას გაიარს:  
დაადგი ფეხი  
გაბედულად გაპენტილ ღრუბელს:  
ფეხი დაადგი  
ღრუბლის ქულას, ჩემო დაია.



ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, ლენა ჭავჭავაძე

# იყიდება საქართველო – წარსულის ისტორიით და მომავალი სვე-ბედით...

საერთო ფართი 59,7 ათასი კვ.კმ.

იყიდება საქართველო – (ან იცვლება ამერიკის ნებისმიერ შტატზე; დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე და ავსტრალიაზე. აფრიკას ნუ შემოგვთავაზებთ); აქვს კარგი გეოპოლიტიკური მდებარეობა; მძიმე წარსული და მშვენიერი მომავალი, დაშენების პერსპექტივით; აქვს წყალი გაზი და ელექტროენერჯია დროგამოშვებით. ფასი შეთანხმებით. მსურველებმა მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 57... ქონების მართვის სამინისტრო TEL.: არ მუშაობს.

იყიდება საქართველო – *მინდორ-ველით* (კვადრატულ მეტრებში); ერთი კვ. მ. ფასი 78 დოლარი (შესაბამისი კურსით კუპონებში).

იყიდება საქართველო – *მთა-გორით* – რომელიც, რომ გავაუთოოთ, რუსეთზე დიდციკი გამოვა.

იყიდება საქართველო – *ხე-ტყით* – მინიმალური პარტია 1000 კუბომეტრი.

იყიდება საქართველო – *ვენახით* – ან უკვე მზა პროდუქციის სახით (ღვინო, პორტვინი, შამპანური)

იყიდება საქართველო – *სათესით*, სადაც უკანასკნელი ათი წლის მანძილზე არაფერი დათესილა.

იყიდება საქართველო – *წარსულის ისტორიით* – დაწყებული ფარნავაზიდან, დამთავრებული გამსახურდიათი.

იყიდება საქართველო – *მომავალი სვე-ბედით* – (იგულისხმება ევროპის საერთო სახლში მოხვედრა, ნატოს შემადგენლობაში შესვლა, მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრება და ყოლიფერი კარგი).

იყიდება საქართველო – *მშვენიერის ენით* – ესოდენ რომ გამდიდრებულია ჟარგონითა და სლენგით.

იყიდება საქართველო – *ნაქარგი ფარჩა-ხავერდით* – ძირითადად ხელით ნაქსოვი ძველებური ხალიჩებით.

იყიდება საქართველო – *ვაჟკაცური ხასიათით* (დაყაჩაღება, შეწერვა, გადაგდება).

იყიდება საქართველო – *სტუმართ-მოყვარეობით*, განსაკუთრებით მსოფლიო ბანკის, ევროკრედიტის მომცემი წარმომადგენლების და სხვა

- ჯურის ინვესტორების მიმართ.
- იყიდება საქართველო – დიდებულის სანახაობით – ჯერ მხოლოდ საპარლამენტო სხდომები რად ღირს, რომ არაფერი ვთქვათ ანტისამთავრობო მიტინგებსა და დემონსტრაციებზე.
- იყიდება საქართველო – წმინდა ჰაერით – რომელსაც კარგა ხანია აღარ ანაგვიანებს უნედლეულობით, გაჩერებული ფაბრიკა-ქარხნების საკვამურებიდან ამომავალი კვამლი.
- იყიდება საქართველო – ნაამაგვევი სახლით და კარით – ციხესავით ერთიანად რომ არის ჩასმული რკინის გისოსებში, ქურდებისგან და ბანდიტებისგან თავის დასაცავად.
- იყიდება საქართველო – ჩუქურთმებიანი მონასტრებითა და ეკლესიებით – ასე მრავლად რომ არიან მიტოვებულ-მიგდებულნი, არა მხოლოდ დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე.
- იყიდება საქართველო – მჩქეფარე ნაკადულებით – კანალიზაციის გახეთქილი მილებიდან რომ იღებენ სათავეს და კარგად მოზვირთებულნი მიედინებიან წყლით გავსებული დედაქალაქის ქუჩებში.
- იყიდება საქართველო – ლურჯის ზღვით – რომელიც შავად იწოდება, და რომლის საქმეც მართლა შავადაა, მწვანეებს თუ დავუჯერებთ.
- იყიდება საქართველო – მონმენდილი, მოკაშკაშე ცით – ყოველ ცისმარე დღეს რომ ისერება საშოფტურო ავიარეისებით (დუბაი, ლარნაკა, ფილიპინები, იაპონია, გერმანია – მანქანების ჩამოყვანით).
- იყიდება საქართველო – იერით, ებიროუდის ფირფიტაზე გამოხატული ვაშლით რომ გახლეჩილა შუაზე და ვერ გამთელებულა, ბიტლსებით დაშლილა და ვერ გაერთიანებულა.
- იყიდება საქართველო – ბერით – ანაფორით რომ ცდილობს ტატუირებული ხელებისა და ცოდვილი სულის დამალვას.
- იყიდება საქართველო – თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით – სხეულით სავაჭროდ რომ მიდიან ანკარა-ისტანბულში, ნამოვნი დოლარებით ქმრებისთვის კოვბოიკები, ხოლო შვილებისთვის სნიკერსები და პიკნიკები ჩამოაქვთ.
- იყიდება საქართველო – გონებაგახსნილი ვაჟებით – შორეული, თუ ახლო საზღვარგარეთისკენ რომ მიილტვიან კეთილდღეობის საძებრად, თითქოს დროებით, მაგრამ

შემდეგ, ხშირად ისე ხდება, რომ იქაურ სიამტკობილობას ვერ ელევინ და სამუდამოდ მკვიდრდებიან უცხო მხარეში.

იყიდება საქართველო – მალხაზი ბავშვებით – იძულებით გაძიძავებულნი რომ არიან ცხრა მთას იქით, ან სულაც ოკეანის გაღმა და მშობლიურ კერას მონატრებულნი დედობილ-მამობილთა მზრუნველ ღიმილში ეძებენ ნუგეშს.

იყიდება საქართველო – ვერცხლისფერი თმით შემოსილი პატრისადებ მოხუცებით – ყოვლად დამამცირებელი პენსიის ამარა რომ დარჩენილან და ნახევრად მშიერ-მწყურვალნი წითელი ჯვრისა და ხსნის არმიისგან მოელიან მონყალეებას.

იყიდება საქართველო – დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით – იყიდება, რადგან ხელმოცარულმა, გაკოტრებულმა, ძალად-საქმოსან კომბინატორებმა ვერ შეძლეს მისი გამოსყიდვა კომერციული ბანკის გირაოდან.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული – ყველას უნდა ჭამა, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით პირაკრულსაც კი.

იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატყუალში, ეტლში, მატარებელში – აგრეთვე, მეტროში, თუ, რა თქმა უნდა, გაჩერებული არ არის ძაბვის უკმარისობის გამო, იყიდება ქალაქის მერიის განკარგულებით მონყობილ მრავალრიცხოვან სპეციალურ ბაზრობებზე, სამინისტროებში, სამმართველოებში, პრესაში და ტელევიზიაში.

იყიდება საქართველო – დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში – განსაკუთრებით სტიქიური უბედურებების დროს (მინისძვრა, წყალდიდობა, ზვავი, მენყერი). იყიდება ერთიანად შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე – სასომხეთისა და აზერბაიჯანის გავლით.

იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა-ჯავახეთი – ჩამონათვალში არ არის აფხაზეთი, რადგან იგი უკვე გაიყიდა შპს ვლადისლავ ენდ კომპანის მიერ. გაიყიდა ათასობით სიცოცხლისა და ასიათასობით ადამიანთა გამწარება-გაუბედურების ფასად. ახლა იმაზე გვინევს ფიქრი, უკან როგორ ვიყიდოთ: ჩამონათვალში არ არის აჭარა, რადგან მოხდა მისი პრივატიზაცია აქციონირების გზით და საკონტროლო პაკეტის შენარჩუნებით.

იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებად, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ; ბანკის საშუალებით და ჩვენი დახმარებით. იყიდეთ ბარემ მთლიანად, განწვით და გაგლეჯით, რასაც საქართველო ერქვა, და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს.

საუკეთესო ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის ამ, ყველასთვის კარგად ცნობილ მინიატურას, საკუთარი კომენტარები, ასევე, ფოტოკოლაჟი სარეკლამო განცხადებებისთვის დაურთო

**მამული ფორტელმა\***

**მამუკა სალუქვაძე მუშაობდა გაზეთ სამშობლო ფორტელში. ფსევდონიმი თავად შეირჩია.**

# ...შურსა და ცილზე აგაღლებული...

1995 წელია. ბ-ნ ლევან გოთუას 90 შეუსრულდებოდა. მძიმე დრო იყო. იუბილეებისათვის არავის ეცალა. იმ დღეს ბატონი ოტია იოსელიანს შინ ვენვით წყალტუბოში.

– ლევან გოთუაზე მასალებს ვაგროვებ და მოგონება დამინერეთ-მეთქი.

მწერლის დაბადების დღე – 10 მარტი – უკვე გასული იყო. სიჩქარეს აზრი არ ჰქონდა. არადა, ძალიან მინდოდა ჩემთვის სათაყვანო ადამიანზე სწორედ გვიშტიბელ ბრძენკაცს მოემზადებინა წერილი.

ოღონდ რამე დაენერა და მზად ვიყავი, მთელი თვე დავლოდებოდი.

შაბათ საღამოს ბატონმა ოტიამ მომიბოდიშა: – რაცხა კი დავწერე, მარა გადაბეჭდვა ვერ მოვასწარი.

წერილს ხელი წამოვავლე, ბ-ნ ოტიას მადლობა გადავუხადე და სასწრაფოდ თბილისში გამოვქანდი.

ბატონი ოტიას წერილმა ჩემი გაზეთი დაამშვენა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

ჯუმბერ ჯიმკარიანი

## ლევან გოთუა დაუბატო!

სამოციანი წლების მეორე ნახევარია. ჩემი პირველი ნოველები იბეჭდება ჟურნალ „დროში“. რედაქტორი გრიგოლ აბაშიძეა, იგი ხშირად არ არის, ან კაბინეტშია, მაგრამ რედაქციაში როცა უნდა მივიდე, აქ არიან ედიშერ ყიფიანი, კოტე ჯავრიშვილი და გურამ თიკანაძე. მართალია, გურამი ყოველთვის არაა, ვერცხლისწყლის მერცხალივითაა, შემოფრინდება, ცინცხალ ფოტოებზე აღბეჭდილ მთის, ბარის, მწვერვალის, ცის, ერის, ბერის უახლესი ამბებით დააპურებს რედაქციას და მიფრინავს; მაგრამ გურამი საოცრებაა! იგი როცა მიდის, არც მერე ტოვებს იქაურობას. მარტო ფოტოებს კი არა, რაღაცნაირ ხილულ ნათელს ტოვებს და უიმისოდ მაინც არ რჩები. ედიშერი და კოტე სულ იქ არიან. გურამიც ასევე და მთელ დღეს რედაქციაში ხომ ვერ დაჯდება თორემ, თუ თბილისში ხარ, აქ უნდა იყო.

ჩემი მაშინდელი მოკრძალების მიუხედავად, რაც გამიხერხდება, ფებს მათთან ვიტყვ. ედიშერი ჩემი თაობისაა და უფრო თამამად ვარ, სახლშიც ვარ მასთან ნამყოფი, ღამეგათეულიც. კოტესთან, რა თქმა უნდა, – შორს და რიდით, მაგრამ კარებში, ჩემი თავის შეყოფისთანავე, იმნაირ საჩემო ღიმილს მახვედრებს, აქ კარი კი იყო მოხურული, მაგრამ – ჩემთვის ღია. მე არ მიყვარს იმ არემარეზე წრიალი, სადაც არ მიმელიან. ბატონი კოტე, არ ვიცი რატომ, მაგრამ მელოდა. იქ მარტო მე რომ ვყოფილიყავი მიმსვლელი, კარებს დაღებულს დატოვებდა.

უმეტესად ლაპარაკია ჟურნალის მასალებზე: რა იბეჭდება, რა იხატება, გურამის რომელი ფოტო მიდის, რა მოთხრობა, ლექსი, ნარკვევი და წერილი... ლაპარაკია ჩვეულებრივ, რაც რედაქციაში ხდება, მაგრამ არის კიდევ ხმადაბლა და საიდუმლოს გამხელასავით ჩურჩული ლევან გოთუას მოთხრობებზე, რომელიც აგერ აწყვია. ლევანის ახალი მოთხრობები... თვალში მომხვდა ერთის სათაური – „კუდა ზაქი“... რამდენჯერ მივალ. ყურებდაცქვეტილი ვარ, გავიგო, რა გადანყდა? იბეჭდება რომელიმე თუ ისევ საეჭვოა და ამდენად საეჭვოა ლევან გოთუას ბედიც...

მაშინ მარტო ჩემი სოფელი კი არა, მთელი ქვეყანა დაყრუებული იყო და ვინ იცოდა, ვის რა ქვეყნის დაქცევას დააბრალებდნენ, თავს სად უკრავდნენ.

მაშინ არ ვიცოდი, თუ ბატონი კოტე ჯავრიშვილიც ლევანივით კატორღელი იყო. ამის თაობაზე დიდი ხნის შემდეგ, შემთხვევით (თუმცა შემთხვევით არაფერი ხდება), ვგებულობ ბალტიისპირეთში – ესტონეთში, ჩემი ქართულიდან ესტონურად მთარგმნელ უნო უსისოოსაგან. უნოს ბევრი ჩემი ნოველა და მოთხრობა ჰქონდა მთარგმნილი და ნიგნად გამოცემული, როცა პირველად ტალინში შევხვდი, ქართულად ლაპარაკი ძალიან უჭირდა. გავიოცე, როგორ? ქართულად სულ ვერ ლაპარაკობთ-მეთქი?! – „დანერილს ვკითხულობ, ლაპარაკის პრაქტიკა კი კოტე ჯავრიშვილის შემდეგ აღარა მაქვს, აქ ქართველები არავინაა“, – ამისხნა უნომ.

– როგორ, კოტე ჯავრიშვილი კი ადრე აქ, ესტონეთში იყო-მეთქი?

მაშინ მწარედ გაელიმა.

– აქ კოტე კი არა, მეც არ ვიყავი. ეს ციმბირში, შორეულში ხდებოდა, ჯოჯოხეთში რომ ერთად ვიყავით.

– ღმერთო ჩემო!.. ჯოჯოხეთში იყავით და ბატონი კოტე ქართულს გასწავლიდა?! როცა ყოველდღე ტანჯვანამებთ სულის ამოხდას ელოდით?!

ბატონი უნო უსისოო უაღრესად მოკრძალებული კაცია, მტკივანღიმილიანი. – „ასე იყო... ამით ცვოცხლობდით“...

თურმე, ლევან გოთუა, კოტე ჯავრიშვილი და უნო უსისოო ერთად ყოფილან კატორღულ ბანაკში.

უნო უსისოო ბატონი ლევანის „ჯოჯოხეთიდან“ დაბრუნებამ და მის მოთხრობებთან ჩემმა შეხვედრამ გამა-



ხსენა, ბატონი კოტეს, გურამისა და ედიშერის დაუფინცა-რობამ...

ბატონ ლევანს მერე და მერე იშვიათად ვხვდებოდი. მაგარი ხელის ჩამორთმევა იცოდა. მომზადებული უნდა შეხვედროდი, მარჯვენას ისე ჰაიპარად ვერ გაუნვდიდი. თვითონ არაფერს ამბობდა, მაგრამ კანტიკუნტად სხვე-ბისგან მქონდა გაგონილი ამ კაცის მონამებრივი ცხოვრე-ბის თაობაზე და რაოდენ გავოცდი, როცა გავიგე, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატია!

მაშინდელ დეპუტატობას ისე ნუ გავიგებთ, თითქოს ვინმეს ძალას ატანდნენ და აიძულებდნენ: გინდა თუ არა უნდა გადაუტატდე და ტაში და ოვაციები მოგვიწყოო. საუბედუროდ, ამის მოსურნე ბევრი იყო და ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ დაემსახურებინათ. დეპუტატის ნიშ-ნები გულზე ებნიათ (არა მარტო პიჯაკზე) და ყინადაც კი დაალაგებდნენ. თუმცა იქ, სადაც დეპუტატობდნენ, მქუხარე ხანგრძლივი ტაშისა და ოვაციების მეტს არა-ფერს აკეთებდნენ.

ბატონ ლევანთან ისე ახლოს არ ვიყავი, მისთვის „ჭკუა მესწავლებინა“, მაგრამ ჩემთვის რომ სადეპუტატოდ შეუ-ლეველი კაცი იყო, ეს ვერ დავფარე და ისევე უეცარი შეხვედრის დროს, როგორც კი ხელი მისი ხელის ტყვეო-ბიდან დავიხსენი, კადნიერად, უტაქტოდ ვუსაყვედურე (როგორც უნდა ისე ეწყინოს, თუ უნდა ანი გამარჯობა-საც ნუ მეტყვის-მეთქი.) – ბატონო ლევან, თქვენი დეპუ-ტატობა ვინ ოხერმა მოიგონა-მეთქი!

გაუხარდა, ჩაეცინა. ისევე ნამომინია ხელი ხელახლა ჩამოსართმევა, მაგრამ ამჯერად მე ველარ შევამე, ზედიზედ ორჯერ ხელის ჩამორთმევა ველარ გავებდე.

რა დამავინწყებს მის უალრესად მეგობრულ, დამაჯე-რებელ, მოსიყვარულე (რალაცის ამკვიტებელ, ჯიუტ ყმანვილს რომ დამოძღვრავენ) – მამაშვილურ ახსნას, რომ: ის საქალაქო საბჭოს დეპუტატია და არა უმაღლესი ან საკავშირო. რომ აქ, ზოგჯერ, ხდება ქალაქისა და ქვეყ-ნის ბედზე სჯა-ბაასი, ხდება ისიც, რომ მართლა რალაცის გაკეთებასაც ფიქრობენ და იქ ჩემისთანა კაცს შეუძლია სასიკეთო მარცვლის ჩაგდებაო. ვერ ვიტყვი ჩემ რჩევაზე დადიოდნენ, მაგრამ ისე უნდა შეაპარო და შეაგულიანო, ეს თითქოს მას უნდოდა ეთქვა, გუნებაში ედო, ან უკე-თესი – ვითონ ადრე ეთქვას კიდევ და მერე გულზე გა-დავარდნოდეს.

- მაინც რა, რა, ბატონო ლევან, რაა ასეთი?
- სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენს მინა-წყალს, ად-გილ-მამულს, უბანს, ქუჩას ქართული სახელი ხომ უნდა ერქვას?
- კი, ბატონო, მერე...
- მაგალითად, ნავთლული.
- კი, ბატონო, მამიდა ცხოვრობს იქ ჩემი, ღამეებს იქ ვათევ.
- მერედა, სამგორი... ცუდია?
- კარგია.
- სოლანლული მოგონის?
- ღმერთმა დამიფაროს!
- ფონიჭალა?
- ესეც კარგია.
- არმაზს არმაზი ერქვას და „ნევთობაზას“ ეძახდე?
- არმაზი დიდებულია!
- ასე და ამისთანები რამდენი რამაა...
- აგაშენა ღმერთმა, ბატონო ლევან!

## დიდი მწერლის საიუბილეოდ

გამოჩენილი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღ-ვანის ლევან გოთუას დაბადებიდან 90 წელი შესრულდა. „გმირთა ვარამის“, „კრწანისის სევდის“, „სერაფიტას“ და მრავალი სხვა შესანიშნავი პროზაული ნაწარმოების და პიესის ავტორის, სამშობლოს სიყვარულისათვის მრავალჭირგადატანილი პიროვნების პატივსაცემად ამ თა-რილთან დაკავშირებით ბევრი ღონისძიება ტარდება. მათ შორის აღსანიშნავია ერთჯერადი გაზეთი „ლევან გოთუა – 90“, რომელიც დიდი რუდუნებით გამოსცა ცნობილმა მოღვანემ და სპელეოლოგმა, ყუმისთავის მღვიმის ერთ-ერთმა აღმომჩენმა, მისი მეცნიერულად შესწავლის ორ-განიზატორმა ბატონმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა. იგია ამ ში-ნაარსიანი გაზეთის მასალების შემკრები, რედაქტორი და ავტორი ვრცელი წერილისა „ცხოვრება ლევან გოთუასი“. გაზეთში დასტამებული საყურადღებო მასალებიდან, რომელთაგან ბევრი ცნობილ მწერლებს, მეცნიერებს და მოღვანეებს ეკუთვნით, ჩვენი მკითხველისათვის საინტე-რესო იქნება ბატონ ოტია იოსელიანის გულთბილი წერი-ლი „ლევან გოთუა დეპუტატი?!“ და გურამ სოფრომაძის მოგონება „სამახსოვრო ავტოგრაფი“.

გურამ თინკაშვილი  
წყალტუბო, 24 აგვისტო, 1995 წელი

## ლევან გოთუა – 90

უქალაღობის ჟამია... გაზეთების წვიმაა. მოდის ოფი-ციალური და არაოფიციალური ჟურნალ-გაზეთების ნიაღ-ვარი, ნაირგვარი ფორმის, შინაარსის, მიმართულების, გაფორმების. მრავალფეროვანი პრესაა. ივსება სარეალი-ზაციო პუნქტები, ივსება განა მარტო ჟურნალ-გაზეთე-ბით? მკითხველებით. მოდიან, მოდიან, მატულობს მკი-თხველთა რაოდენობა. სარეალიზაციო პუნქტში შემოდიან ის ადამიანები, ვისაც პრესის გადათვალიერების, გადაკი-თხვის და წაკითხვის დიდი სურვილი, ამასთან, შესაძენი ფულის დეფიციტი აქვთ. ვინც ვერ ახერხებს შეიძინოს სასურველი ჟურნალი თუ გაზეთი. დგანან ფეხზე, ხელში უჭირავთ პრესის ახალი ნომრები. დგანან და კითხულო-ბენ. ესენი ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები არიან. კითხულობენ ახალ გაზეთებს, ჟურნალებს, ზო-გჯერ ნიგნებსაც... აქვე ვხედავ კანტიკუნტად შემოსულ ჯიბესქელ ადამიანებსაც, გადაარჩევენ მათთვის სასურ-ველ ეგზემპლარებს და უდარდელად იხდიან საფასურს. გარეთ გამოსულნი საკუთარ მანქანებში სხდებიან და თა-ვისი გზით მიემართებიან. მე გულს მეთანადრება. უხმოდ ვადევნებ თვალს ვინ რას კითხულობს. უმეტესობას ხელთ უჭყრია გაზეთები „ახალი ქუთაისი“, „იმერეთის მოამბე“, „ქუთაისი“, „ლევან გოთუა – 90“, „ლიტერატურული სა-ქართველო“, „კავკასიონი“, „საქართველოს რესპუბლიკა“. ამ უცნაურ, ბიბლიოთეკადქცეულ ჟურნალ-გაზეთების სარეალიზაციო მალაზიაში არც სკამებია, არც მაგიდე-ბი. ყველა ფეხზე დგას ხელში ახალი გაზეთით და კი-თხულობს. რადგან უმთავრესად „ლევან გოთუა – 90“-ის მკითხველები არიან დარბაზში, მეც ამ გაზეთს ვიღებ და ვკითხულობ. იგი ახალი გამოსულია, ერთჯერადია. 1995 წლის ზაფხული. რედაქტორი ჯუმბერ ჯიშკარიანი, აწე-რია.

ოტია იოსელიანი

„...შინაგათიშულობის დროს ერი მუდამ ჰკარგავს რა-ღაც არსებითს და მერე თაობებია საჭირო ამ ხარვეზის ამოსავსებად“... – გვმოდღვრავს ლევან გოთუა.

– ბატონო ლევან, როგორც მთამსვლელმა, იცოდი „მაღალ მწვერვალებს უფრო ხშირად დიდი ბურუსი ახვევიათ ხოლმე...“ ამიტომაც გვეუბნებით „დავდივარ კალმითა და ხელნაწერებით სპერის ზღვიანეთში, სარფიდან დიოსკურიამდე... უფრო შორსაც – ყირიმში მითრიდატეს მთამდე, ვაკითხავ ჩვენს ანტიკურ ძეგლებს, მითრიდატეს მონუმენტსა და თანამედროვეებს“... თქვენ გულდასმით იხედებით ჩვენი ისტორიის ღრმულელებში, ამიტომ დასძინთ „ჰოი, რა დიდი ანტიკური სამყარო გვქონდა... ჰოი, ჯერ კიდევ რამდენი საქართველო გვქონია აღმოსაჩენი... და მითრიდატეს საქართველო, უპირველეს ყოვლისა...“

მწერალი ელგუჯა მალრაძე წერს: „ლევან გოთუა გახლდათ ძველი საქართველოს დაუმცხრალი ჭირისუფალი, მოზარე და დამტირებელი, მისი გმირების ვარამითა და სევდით გულდასტყვილი, გულდასერილი, იმ ვარამისა და სევდის სამზოვზე გამომტანი...“

გაზეთში გამოქვეყნებულია ლევან გოთუას უცნობი წერილები, ბარათები „სოლოვეციკის კუნძულებიდან“.

დიდ მწერალს თბილი სიტყვებით ამკობენ: სოლომონ ხუციშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ივანე და სიმონ ჯაფარიძეები, ოტია იოსელიანი, დენიზა გოზალიშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, ოთარ გიგინეიშვილი, ელენე აბაშიძე, ლევან ფრუიძე, გურამ სოფრომაძე, რევაზ ტყავაძე...

ქართველმა მკითხველმა კარგად იცის ლევან გოთუას ცხოვრების გზა. გზა, რომელიც მთამსვლელობით დაიწყო და მწერლის ეკლიანი გვირგვინით დაასრულა. ეკლიანი გვირგვინით იარა, მაგრამ შეძლო სული არ დაემახინჯებინა. სულით ძლიერი, ამაღლებული და ვაჟკაცი დაუბრუნდა სამშობლო ქვეყანას.

გაზეთი ვრცლად მიმოიხილავს გაუტყეხელი, დაუძაბუნებელი ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიპეტეებს... სევდითა და ვარამით სავსე მის შემოქმედებას. მიმოიხილავს მასთან ურთიერთობაში მყოფ მამულიშვილებისა და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ცხოვრების დეტალებს. წერილებში მხოლოდ ლევანთან მიმართებებია გადმოცემული.

კარგადაა გაშუქებული მწერლის პირადი, სულიერი ტკივილები. ნათელ-მოფენილია მისი ეროვნული ინტერესები. აქვეა „ბარათები მავთულსიქითა სამყაროდან“.

ლევან გოთუამ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების წლები, თითქმის მეოთხედი საუკუნე, შორეულ ჩრდილოეთში, „მავთულსიქითა“ სამყაროში გაატარა.

„ჩემი დარდი ნუ გექნებათ, ვნანობ, ბევრი დამრჩა დასანერი, რამდენი მიზანი და საშვილიშვილო საქმე შეუსრულებული. ვის დასჭირდა ჩემი გაძევება და რატომ?.. მოაქვს სტრიქონები გაზეთის რედაქტორს – ჯუმბერ ჯიმკარიანს, გოთუას ბარათებიდან. რომელ წერილშია? „ცხოვრება ლევან გოთუასი“. ის თვით უნდა ნაიკითხოს მკითხველმა, ეფექტი ბევრად მეტი იქნება.

ამავე გაზეთშია დავით კვიციანიშვილის საყურადღებო წერილი. თბილი და ფაქიზია საქართველოს სახალხო არტისტის, დოდო ჭიჭინაძის სტრიქონები.

ძნელია ჟურნალ-გაზეთების სარეალიზაციო პუნქტში ყველა წერილის ნაკითხვა. სასურველია საკუთარი ბიუჯეტიდან დანაზოგი თანხის გამოძენა და შეძენა გაზეთისა. ის ხომ ერთჯერადია. შენ დღეს ნაიკითხე, მაგრამ შენს მომავალს, ახალ თაობას ეს გაზეთი არ დახვდება სარეალიზაციო პუნქტთა თაროებზე. მისი შეძენით არა მხოლოდ პირად ბიბლიოთეკას დაამშვენებთ, თქვენი ოჯახის ახალ წევრებსაც გააცნობთ ლევან გოთუას მიერ ნაზიდ მძიმე ჯვარს და მთელ მის ცხოვრებას წარმოდგენენ ისინი ამ შტრიხებით.

შეიძინეთ გაზეთი „ლევან გოთუა – 90“.

ნინო ქემოკლიძე-მალრაძე

### მეფე ერეკლე

ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად ქუთაისის აღზევების 1000 წლისთავის საიუბილეო დღეებში ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასმა წარმოადგინა ლევან გოთუას დრამა „მეფე ერეკლე“.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გოგი ჩაკვეტაძე, მხატვარი – ლევან როსტომაშვილი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ნინო გაგნიძეს.

სპექტაკლში მეფე ერეკლეს როლი შეასრულა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ვანო იანტბელიძემ.

დანარჩენ როლებს ასრულებდნენ: ლევან როსტომაშვილი (ლევან ბატონიშვილი), მაია გიჩელაშვილი (თეკლე ბატონიშვილი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი თემურ ხუნაშვილი (პაატა ბატონიშვილი), ნინო კურტანიძე (ანა), ზურაბ ლომიძე (ბესიკი), გელა ჩოთალიშვილი (სოლომონ ლეონიძე), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ორბი აღნიაშვილი (დიმიტრი ამილახვარი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ზურაბ ანთელავა (საიათნოვა), ირაკლი ჩიკვაძე (დათუნა ფეიქარი), ავთანდილ გულიაშვილი (პატრი ნიკოლა), რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი მამუჩიშვილი (ანტონ კათალიკოსი), კარლო ქართველიშვილი (ყარა ხოჯა), შოთა ბეჟანიშვილი (ყოჩ აშოლი), ელდარ თავდიდიშვილი (გია) და სხვები.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ თელავის გამგებლის მოადგილემ გივი ბეციაშვილმა გულთბილად მიულოცა ქუთათურებს დიდი იუბილე, ხოლო მეფე ერეკლეს როლის შემსრულებელმა ვანო იანტბელიძემ ქალაქის მერს, ბატონ თეიმურაზ შაშიაშვილს ერეკლესეული ხმლის ასლი გადასცა.

სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა.

ახალი ქუთაისი  
ხუთშაბათი, 5 ოქტომბერი, 1995 წელი  
№73-74 (187-188)



# მერაბი ჩემს ღლიურებაში და ღავით ალმაშენებლის თავგადასავალი

თბილისის მერიის, საქრებულოს და საქართველოს მთავრობის ბასაბონად!..

ხვალ, 10 ივნისს, მერაბ ბერძენიშვილს 79 წელი შეუსრულდება. ეს ჩანაწერები მოიცავს მხოლოდ ბოლო ხუთ წელს – ჩვენი შემოქმედებითი თანამშრომლობის აქტიურ პერიოდს. სამწუხაროდ, მერაბისთვის ეს წლები დიდი იმედგაცრუების წლები იყო. რატომ? – ამას მკითხველი იოლად მიხვდება...

11.V.2016. მესამე დღეა ხელოვნების ცენტრ მუზაში მიმდინარეობს მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი. იდეა და რეალიზაცია ეკუთვნის მერაბ ბერძენიშვილს. პირველი სხდომის დასასრულს გამოვიდა (გამოიყვანეს) მერაბი. მოკლე მისასაღმებელი სიტყვა, ნამუშევრების ჩვენება მუსიკის თანხლებით. მერაბის ქანდაკებებს მილიონში გამოარჩევ. მის გამოჩენაზე, დარბაზი ინსტინქტურად ფეხზე წამოიშალა. ტაში დიდხანს გაგრძელდა. შემდეგ მერაბთან ფოტოების კოლექტიური და ექსკლუზიური გადაღებები. კიბეებს მოადგა მანქანა და ექიმების თანხლებით, მერაბი სახლში წაიყვანეს. ტკივილებს ვერ უყუჩებენ... ხვალ სიმპოზიუმის მონაწილეები მცხეთაში მიჰყავთ, მერაბის თხოვნაა, სტუმრები შემოვლითი გზით წაიყვანონ, რომ არ იხილონ დავითი ასეთ შეურაცხმყოფელ სიტუაციაში...



დავით ალმაშენებელი

ბა, მისცემდით კონკრეტულ დავალებებს, თქვენ კი გვეუბნებით, იქნებ, წერილი მომზადდეს ინტელიგენციის ან თბილისის საპატიო მოქალაქეების ხელმოწერით. აქ არიან თბილისის საპატიო მოქალაქეები, ომარი, თამაზი, მაგრამ რა უბედურებაა კიდევ ერთი წერილი. ათეულობით წერილი დაიბეჭდა, ათეულობით გენერალი, აკადემიკოსი აწერდა ხელს, არა ერთი გადაცემა იყო ტელეარხებზე. რადიოში და სხვ. შედეგი არ მოჰყოლია. მერაბი მტკივნეულად განიცდის, ჯანმრთელობაც შერყეული აქვს. თუ რამე მოუვიდა, ამ ხელისუფლების ბრალიც იქნება. ეს იქნება ძლევა მოსილი ფინალი მერაბ ბერძენიშვილზე გამარჯვების. ათი დღე მაცადეთ და ყველაფერს მოვაგვარებ, – ბრძანა მერმა. დავურეკეთ მერაბს. მოვუყვივით საუბრის შინაარსი.

გვითხრა, – ხომ გითხარით ტყუილად მიდიხართ... P.S. 10.X.2016. უკვე მეთხუთმეტე ათი დღე გადის. საქმე არ დაიძრა...

24.V.2016. დავურეკე მერაბს. შეწუხებულია მერიის და საკრებულოს უმოქმედობით, არც სხვა სამთავრობო ინიციატივებია უკეთესი. გაიხსენა ძველი ამბავი: გაუგზავნია წერილი იუსტიციის მინისტრ ნულუკიანისთვის თხოვნით, განემარტა, არის თუ არა ქუთაისის მემორიალის აფეთქება სისხლის სამართლის დანაშაული?.. – პასუხი არ მიმიღია. განმეორებით გაუგზავნე. მომწერეს, – თქვენი წერილი პროკურატურას გადაუგზავნეთ. პროკურატურაში მოვიკითხეთ, გვითხრეს, ქუთაისს გადაუგზავნეთ. კვდება სიცილით. მე ვუთხარი, ქუთაისში, ალბათ, იმ კაცს მიუვა, ვინც ააფეთქა, ის გამოგიგზავნის პასუხს!..

1.VII.2016. დარეკა ბერძენამ, – წერილი დაწერე ნარმანიას სახელზე. თუ გინდა წაგაკითხებ, ამოდი. ელ.ფოსტით გაუგზავნი, არ მინდა ოფიციალურად გატარდეს, გასაჯაროვდეს, ძალიან მძიმე წერილია. მერაბი მხნედ გამოიყურებოდა, გასაოცარია, ერთი ნაოჭი არ აქვს სახეზე, ფეხები და ხერხემალი რომ არ მიტრაკებდეს, სხვა ყველაფერი ნორმაშია. გადმომა წერილი, მითხრა, – მშვიდად წაიკითხე. ვკითხულობ, ყოველი წინადადება ზუსტია, მეტყველი, პირდაპირი, მართალი, – დავით ალმაშენებლის გადმოტანას ეხება, – მომეცი ერთი ეგზემპლარი, იყოს ჩემს არქივში-მეთქი, – ჯერ ადრესატმა მიიღოს, თუ რეაქცია არ იქნება, პრესას გადაცემ. ბევრს ვფიქრობ, რასთან გვაქვს საქმე, რა უშლის ხელს ძეგლის გადმოტანას, ვერაფერს ვხვდები. მეც ასე ვარ-მეთქი. ნუთუ ხელისუფლება ვერ ხვდება, ეს აუცილებელია, – ნავიკითხე ლიტერატურულ საქართველოში შენი სტატია ხსოვნის მემორიალზე სწორი აზრია, ფოტოებიც კარგია, საერთოდ კარგი პროექტია, მაგრამ კარგ მთქმელს, კარგი გამგონე უნდა. ესენი ამის გამკეთებლები არ არიან...

22.VI.2016. მე და თამაზ შილაკაძე კიდევ ერთხელ შევხვდით მერს. ომარ მხეიძე დაგვეგზავრა. ქორეოგრაფთა კავშირის წერილზე სჭირდებოდა ხელმოწერა. თამაზს ვეუბნები, – ეს ვიზიტიც უშედეგო იქნება. ალბათ, ნაიკითხეთ ასავალ-დასავალში იყო სპარტაკ ქობულას პუბლიკაცია, სადაც ამბობს, – ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილს დავუსვი კითხვა, – რატომ არ აბრუნებთ ალმაშენებლის ძეგლს ძველ ადგილას!.. ბატონ ბიძინას უპასუხია, ეს საკითხი დიდი ხანია გადაწყვეტილია, რატომ აქამდე არ გადმოიტანეს, არ ვიცი. თამაზმა გაზეთი დაუდო მაგიდაზე, – ნავიკითხავ, – უკიდურესად ალელვებული ვარ მერიის უმოქმედობით. ამიტომ, შეიძლება ჩვენი საუბარი არცთუ სასიამოვნო იყოს. წინასწარ გიხდით ბოდიშს. აქ ოთხი მამაკაცი ვსხედვართ, გირდებით, ჩვენი საუბარი ამ ოთახს არ გასცდება. გვითხარით, რა უშლის ხელს ამ საქმეს, უკვე თქვენი მერობის მესამე წელი დაიწყო, იქნებ, არიან მძლეთამძლე მონინა-ალმდეგები, და ჩვენ არ ვიცით, გვითხარით და პასუხს ჩვენ გაცემთ. მეგონა დღეს აქ დაგვახვედრებდით, ვისაც გევალებათ ყველა ამ საკითხის პრაქტიკულად მოგვარე-

ქუთაისის გამარჯვების მემორიალის აღდგენაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ამის არც ნება, არც ენერგია და არც სურვილი მერაბს არა აქვს. აკი შესთავაზა პუტინმა, მოსკოვში ავაგოთ (გავიმეოროთ) ასლი. მერაბმა უარი უთხრა. მაგრამ შენ რომ პოსტსააკაშვილის პერიოდის მთავრობა ხარ, გამოთქვი სინანული, ბოდიში მოუხადე საქართველოს და ავტორს ან შენ რომ მერია და საკრებულო ხარ, მეოთხე წელია დავით ალმაშენებელი ვერ გამოიყვანეთ სანაგვიდან – რა უნდა იფიქრო, ნაცების გემინიათ? სააკაშვილი დაბრუნდება და დაგკოდავთ? მეც უნდა მომიხადოთ ბოდიში, სააკაშვილმა უარყო ჩა-



**მერაბ ბერძენიშვილი**

რეცხილების – ჩემი და ნოდარ თოფურისა 9 აპრილის ხსოვნის მემორიალის III ლია კონკურსში არნახული ერთ-სულოვნებით გამარჯვებული იკაროსი. ფეხებზე დაიკიდა კომპეტენტური ჟიურის გადანყვებილება. საავტორო უფლებები და გამოაცხადა ახალი, რიგით IV კონკურსი და დადგა საგაზეთო კიოსკი.

17.VII.2016. დარეკა მერაბმა. მაღალაშვილები ოპერაციისკენ იხრებიან. მე ვუთხარი, რამდენიმე წლის წინ, ებრაელებმა ხომ გითხრეს, ოპერაცია აუცილებელია. აქამდე რატომ არ ჩაიტარე-მეთქი. საუბარი აღმაშენებელზე გაგრძელდა. ისე როგორ მოგვკვდე, დავითი ტრასაზე დავტოვო!..

19.VII.2016. დავურეკე მერაბს. მითხრა, – ოპერაციას დავთანხმდი. სხვა გზა არ არის, დინებას მივეყვები, ვერაფერს შევცვლი, შევეგუე... იყვნენ მაღალაშვილები, მაჩვენეს ფოტოები, ნეტავ, არ მენახა, ხელახლა უნდა ააწყონ ხერხემალი შურუპებით და ბოლტებით. გადავირიე, რომ ვნახე. დავითის დარდი მიმყვება, იქნებ, შენ და თამაზი მიხვიდეთ ნარმანიასთან, განცხადება მაინც გააკეთოს ძეგლის გადმოტანაზე, მშვიდად ვიქნები.

28.VII.2016. წევა. უწყვეტად ვიღებ ცნობებს თამაზ შილაკაძისგან და დათო გეგელაშვილისგან მერაბის ჯანმრთელობის შესახებ. ოპერაციის შემდგომი პერიოდი მიძიმდ მიდის... აპირებენ თურქეთში გადაყვანას.

17.IX.2016. წევა. დარეკა სოსო ჭუმბურიძემ. მერაბის ამბავი მართალია?.. თავზარი დამეცა. მივხვდი. რასაც ნიშნავს მართალია. დავურეკე თამაზს. დღეს გარდაიცვალა. თურქეთიდან ჩამოსასვენეს შუადღეზე.

მერაბ, შენ დაასრულე ამქვეყნიური ცხოვრება და გადახვედი მარადისობაში, საოცრად მთლიანი იყავი, როგორც კაცი, როგორც მხატვარი, მეგობარი, ესეისტი, მოსაუბრე. ძალიან მოგვენატრება შენი ხმა, შენი იუმორი, როგორ გტკიოდა საქართველო! როგორ გიხაროდა საქართველო!

წავიდა დიდი მოქანდაკე და ერისკაცი, გაიყოლა ტკივილები, შენ მხოლოდ ცხოვრების წესი შეიცვალე, უკვდავი ხარ, გპირდები, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, და დავითის ძეგლს დავდგამ იქ, სადაც შენ გსურდა...

დავურეკე ჩემს მეგობარს, სპარტაკ ქობულიას – ვუკარნახე ტექსტი საქართველოს რესპუბლიკაში გამოსაქვეყნებლად. ნათელამ და მე დავინყეთ სამზადისი თბილისში გასამგზავრებლად. უამრავი წვრილმანი საქმე გამოჩნდა, უნდა მოვასწროთ.

20.IX.2016. მერაბის ეზო საესეა ხალხით. ქალბატონმა კირამ ნათელა და მე გვერდით დავგვსვა, – ვახტანგ, სა-

ფლავისთვის ეზოს მარცხენა კუთხე ავირჩიე, დანარჩენი შენ იცი... ახლა, აღმაშენებლის საქმე მთლიანად შენ დაგანვება, შენ უნდა იტვირთო, როგორ ეიმედებოდი, როგორ გაფასებდა... მხნედაა, სრულად ფლობს საკუთარ თავს. ექიმების აუგი არ გამაგონოთ, როგორ იბრძოლეს მერაბის გადასარჩენად. ასეთი ყოფილა ბედისწერა. გვიანობამდე დავრჩით. უმძიმესი დღე იყო.

27.IX.2016. მერაბი ქაშუეთის ეკლესიიდან თავის ეზოში – ქანდაკების საუფლოში დაბრუნდა. აქაც ზღვა ხალხმა მოაცილა. ასეთი ხალხმრავლობა რამაზ ჩხიკვაძის გასვენების შემდეგ, არ მახსოვს. გამოსვენება საზოგადოებამ ტაშით აღნიშნა. ახალგაზრდებმა რუსთაველის თეატრამდე ხელით ატარეს. დაასვენეს ეზოში, რუსთაველის ძეგლის წინ. საოცარი კადრია. ხელისუფლებიდან იყვნენ ბ-ნი დავით ნარმანია, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, კულტურის მინისტრი ბ-ნი მიხეილ გიორგაძე, გამოსამშვიდობებელი სიტყვები ნარმოთქვეს ვალერი ასათიანმა, როინ მეტრეველმა, გიორგი ალიბეგაშვილმა, მიხეილ გიორგაძემ. თემო გოცაძემ, გივი თოიძემ, ავთანდილ მჭედლიშვილმა, გივი ჯაფარიძემ. მე კი ასე გამოვემშვიდობე, – მერაბ, გპირდები, შენს ოცნებას, შენს დიდ ტკივილს, რომელიც საფლავში ჩაიტანე, ალვას-რულეზე. მშვიდობით.

ქალბატონმა კირამ საზოგადოებას მადლობა გადაუხადა, აღნიშნა, მერაბი მუდამ გრძნობდა მათ გულწრფელ დამოკიდებულებას, კეთილი სიტყვებით მოიხსენია ექიმები, ერთი თვის წინ, უამრავი გეგმა გვქონდა, რეალობა კი სასტიკია.

**ვახტანგ დავითაია**

P.S. მერაბ ბერძენიშვილის თქმით, დავითის ძეგლისთვის რესპუბლიკის მოედნისა და რუსთაველის გამზირის გასაყარი უალტერნატივოა. მეცნიერთა დიდი კოჰორტა საქართველოს მთავრობას ულტიმატუმით მიმართავს!.. მერაბის სულის სანუგეშოდ, ძეგლის გადმოტანას არა ერთხელ მივუბრუნდებით. სიბნელეში და მარტოობაში არ მივატოვებთ დავითს...



**დავით აღმაშენებლის ძეგლის მკვეტი**

# ეჭიმი - ბოგბების სპეციალისტი?..


ნოვოე რუსსკოე სლოვოს ერთ-ერთ ნომერში წავიკითხე ვლადიმერ კოზლოვსკის - საუბარი ბიოტერორიზმის ექსპერტთან.

პირველად ნიუ-იორკში გამომავალი გაზეთიდან ვაგიგე, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში, სსრკ მინისტრთა საბჭოსთან, ბიოპრეპარატის მთავარი სამმართველო არსებობდა, ამ უწყინარი აბრის ქვეშ, თურმე ისეთი მოსტრი ფუნქციონირებდა, რომ მისი საქმიანობის გაცნობის დროს, ადამიანს სისხლი გაეყინება!

ოფიციალურად ბიოპრეპარატი სხვადასხვა სახის მიკრობიოლოგიურ პროდუქციას ამზადებდა. ძირითადად - ბიოპესტიციდებს; მაგრამ ეს იყო ამ დაწესებულების ფასადი, გარეგნული სახე...

1973 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, სსრკ-ში მოლეკულური ბიოლოგიის დაჩქარებული განვითარების შესახებ. ეს ღია დადგენილება იყო; თუმცა ერთვოდა საგანგაშო, საიდუმლო დამატება, რომელიც ბიოპრეპარატს ამოცანად უსახავდა, - ბაქტერიოლოგიური იარაღის გენეტიკურად შეცვლილი ვარიანტების დამუშავება დაეწყო. კერძოდ, გენეტიკურად შეცვლილი ანტიბიოტიკმედეგი შავი ჭირის, ანტიბიოტიკმედეგი ციმბირის წყლულის, ყვავილის, და ასობით სხვა პროექტის განხორციელება!..

ამ შემზარავი გეგმის უტყუარობა ეჭვს არ იწვევს, რადგან ვლადიმერ კოზლოვსკის რესპონდენტია ბიოპრეპარატის დირექტორის ყოფილი პირველი მოადგილე, პოლკოვნიკი კანაჯან ალიბეკოვი, რომელიც 1992 წლიდან აშშ-ში ცხოვრობს და მოღვაწეობს. იგი ბაქტერიოლოგიური შეიარაღების ერთ-ერთი ავტორიტეტული სპეციალისტია მსოფლიოში! ამჟამად, მისი სახელი და გვარია, - კენეტ ალიბეკი. იგი იმ კომპანიის ვიცე-პრეზიდენტია, რომელიც კონტრაქტით სახელმწიფო შეკვეთებს ასრულებს. ამავე დროს, ერთ-ერთი შვილობილი კომპანიის პრეზიდენტია, რომელიც ბიოლოგიური იარაღიდან თავდაცვის სამედიცინო ასპექტებს ამუშავებს.



ლევან გოთუა

ჟურნალისტის შეკითხვაზე - როგორი იყო ბიოლოგიური იარაღის წარმოების პროგრამა საბჭოთა კავშირში - კანაჯან ალიბეკოვი პასუხობს, რომ ეს იყო შემაძრწუნებელი მასშტაბისა და სიმძლავრის პროგრამა, რომელიც დიდი ხნის წინ, ოციან წლებში დაიბადა. ყველაზე ადრინდელი დოკუმენტი ამ საკითხზე, რომლის გაცნობის საშუალებაც მას მიეცა, დათარიღებულია 1928 წლით, და ერთ-ერთ ინსტიტუტს შეეხო, რომელიც სოლოვეცკის კუნძულებზე იყო განთავსებული.

სოლოვეცკის კუნძულების ხსენებაზე ჟრუანტელმა დამიარა! ვინ იცის, რამდენი ქართველი მამულიშვილი დარჩა სამუდამოდ სოლოვეცკის კუნძულების ცივ მინაში!

...სოლოვეცკის კუნძულები! შორეულ ჩრდილოეთში, თეთრ ზღვაში, დვინისა და ონეგის უბეებს შორის განლაგებული კუნძულების ჯგუფი. თეთრი ზღვა ჩრდილო ყინულოვან ოკეანეს ბარენცის ზღვით უკავშირდება. ასე რომ, კუნძულების ზღვათა სამეფოშია, - ვკითხულობთ თამარ და სანდრო გოთუების წიგნში - ცხოვრება ლევან გოთუასი.

XV საუკუნის ოციან წლებში, სოლოვეცკის კუნძულებზე მსოფლიოში უდიდესი, მამათა მონასტერი დაარსდა.

XIX საუკუნიდან სოლოვეცკის მონასტერი რუსეთის იმპერიის ციხედ, პოლიტიკური პატიმრების იზოლაციის საშინელ სამყაროდ და წამების ადგილად იქცა...

საბჭოთა ხელისუფლების დროს, სოლოვეცკის მონასტერი პოლიტპატიმრების საპყრობილე გახდა. სოლოვეცკის სისასტიკე საკუთარ თავზე იწვევს გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა კონსტანტინე გამსახურდიამ და ლევან გოთუამ.

1921-1930 წწ. სოლოვეცკის კუნძულებზე გადასახლებულები იყვნენ ქართველი მამულიშვილები: გიორგი თოთუა, ვასო კეჭაყმაძე, სოლომონ თელია, ალბერტ ადემიშვილი, კალისტრატე კვირია, ვასო დვალიშვილი, იოსებ ჟვანია, კანდო ხუბულავა, შოთა აბესაძე, მეტია დგებუაძე, სერაპიონ კეკელიძე, ვახტანგ ბარათაშვილი, მიხეილ შონია, ბიეტორ კარანგოზიშვილი, ვანო ხელაძე, ბესო ვაშაკიძე, სიმონ მეტეხია, ვანო დვალიშვილი, სევერიან აროშიძე, დომენტი ჯაყელი, პარმენ ლამბაშიძე, სანდრო კახაბერი, აფტონ ნულაძე, პეტრე კურცხალია და სხვ.

სოლოვეცკეზე გამეფებული სისასტიკე რომ წარმოვიდგინოთ, საკმარისია, გავეცნოთ ორიოდ ნაწყვეტს ლევან გოთუას მიერ ოჯახში გამოგზავნილი ბარათებიდან:

...ყინულმჭრელმა სოლოვეცკის კუნძულებზე, ყოფილ კაცთა მონასტერში, სადაც ახლა სასტიკი ციხეა, ძლივს ჩამოგვიყვანა და ყინვაში დაგვტოვა. ისტორიულად ძველდებულთა ციხე-სიმაგრემ, ამჯერად ჩაფოხილმა, გაპარტახებულმა და ჩაშავებულმა ბანაკმა, მძიმე შთაბეჭდილება დამიტოვა. მეთორმეტე ასეულის სარდაფებმა, სადაც მე მოვხვდი, ჩემი ბედის დაცინვა და უკუღმართობა მაგრძნობინა, ვერც კი წარმოიდგენთ, აქ რა ხდება. ეს ყოველივე ამქვეყნიური არ არის.



სოლოვეცკის მამათა მონასტერი



სოლოვეცკის პოლიტპატიმრები

...ყოფილი უძველესი მონასტერი, ძირფესვიანად გაუღენთილია რუსული ავი სულით. ახლანდელი საკონცენტრაციო ბანაკები ისე აღარ არის, რაც სხვა მთავრობის დროს იყო. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, სადაც სისასტიკისა და უღმობლობის საშინელი კანონები მოქმედებს. აქ ადამიანთა სიკვდილი მძვინვარებს, როგორც სრულიად ჩვეულებრივი ამბავი.

...სად არ მათრიეს, სად არ გადამაგდეს, სად არ მანვალეს, ყველაფერს რომ ჩაეყვი და გავიხსენე, თვითონ განვცვიფრდი, ნუთუ ყოველივე მე მხვდა წილად... ჩემს თავზე მძიმე ზღაპარმა გადაიარა, ერთი ადამიანისთვის ბევრზე ბევრია გადასატანად და დაუჯერებელიც. – ნერ-და სოლოვეცკიდან დაბრუნებული ლევან გოთუა.

**სოლოვეცკის მონასტერი  
2.III.1927.**

აი, ასეთ ღირსშესანიშნავ ადგილზე, გარე სამყაროსგან სრულიად მოწყვეტილ, უცხო თვალთაგან საიმედოდ დაფარულ ადგილზე დაუარსებიათ ბიოპრეპარატის პირველი ინსტიტუტი.

ჰქონდათ კიდეც მიზეზი, გულდაგულ დაემაღათ თავიანთი ავი საქმენი; მაგრამ როგორც ბიბლიაშია – არ არსებობს დაფარული, რომ არ გამოჩნდეს, და არც რამ საიდუმლო, რომ არ გამჟღავნდეს!..

**მარკოზი: თავი მეოთხე, 22**

როგორც ჟურნალისტიდან საუბარში ირკვევა, კენეტ ალიბეკი მართლაც უდიდესი სპეციალისტია ბაქტერიოლოგიური შეიარაღების დარგში: იგი დამსახურებულად ატარებს პოლკოვნიკის წოდებას (გასაკვირი ისაა, რატომ არ მიენიჭა გენერლობა, სსრკ თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ მეთხუთმეტე სამმართველოს, რომელიც ბაქტერიოლოგიურ იარაღს ამზადებდა, გენერალ-პოლოვნიკი ეფიმ ივანეს ძე სმირნოვი ედგა სათავეში).

ბაქტერიოლოგიურ შეიარაღებასთან დაკავშირებით, კენეტ ალიბეკი, შეუძლიათ შეამკონ ნებისმიერი აღმატებული ეპითეტებით, გადაცენ ორდენები, მედლები, ფულადი ჯილდო, მაგრამ, უფლება რომ მქონდეს, მას ავუკრძალავდი ექიმის სახელი ეტარებინა.

– რატომ?

– შევეცდები, დავასაბუთო...

კანაჯან ალიბეკოვმა, იგივე კენეტ ალიბეკმა, უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღებისთანავე, უღალატა ჰიპოკრატეს ფიცს, რომლის უმთავრესი დევიზია – ადამიანს არ ავნო!

აი, რას წერს თავად კენეტ ალიბეკი:

– 1975 წელს დავასრულე ტომსკის მედინსტიტუტის სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტი, მივიღე ლეიტენანტის სამხედრო ექიმის წოდება. უკვე მაშინ დავნერე ორი სტატია ამ თემაზე (ბაქტერიოლოგიურ შეიარაღებაზე – ჯ.ჯ.). ამიტომ ამიყვანეს. პირველად ვიატკის გუბერნიაში მოვხვდი, კიროვის ოლქში. იქ ერთი პატარა ქალაქია – ომუტინსკი. მახლობლად მდებარეობდა ქალაქის ტიპის დაბა – ვოსტოჩნი. დაბის ცენტრი იყო ომუტინსკის ქიმიური ქარხანა. მშვიდობიან დროს იგი ბიოპესტიციტებს აწარმოებდა, მაგრამ ამენებული იყო, როგორც ბიოლოგიური იარაღის მწარმოებელი ქარხანა. იქ დამუშავებული ჰქონდათ ტექნოლოგიები შავი ჭირის, ტულარემიის, ბრუცელოზის და სხვა ბაქტერიოლოგიური იარაღის საწარმოებლად.

ბიოპრეპარატის განკარგულებაში იყო ექვსი ქარხანა. მათ შორის – თავდაცვის სამინისტროსთან არსებული ვირუსოლოგიური ცენტრი ზაგორსკში; ბაქტერიოლოგიური იარაღის დამუშავების ქარხანა და ინსტიტუტი კიროვში; ქარხანა და ინსტიტუტი სვერდლოვსკში.

...კანაჯან ალიბეკოვმა პირველ დღესვე იცოდა, რა საშინელი პროდუქტია მზადდებოდა ბიოპრეპარატში, მაგრამ ამ ცოდვილ დაწესებულებას კი არ გაერიდა, ენერგიულად შეუდგა საქმიანობას და ღირექტორის პირველი მოადგილე გახდა!

ჟურნალისტი ერთგვარი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კენეტ ალიბეკი ამ დარგის ერთ-ერთი უდიდესი სპეციალისტია მსოფლიოში!

უდაოდ, კენეტ ალიბეკი, ალბათ, ყველაზე დიდი სპეციალისტია ამ დარგში, მაგრამ ასეთ სპეციალისტად იგი თავის სამშობლოში ჩამოყალიბდა, როდესაც ბიოპრეპარატს ედგა სათავეში. ბიოპრეპარატს, რომლის ქარხნებშიც დამზადდა ორასი ტონა ციმბრის ნყლულის, ოცი ტონა შავი ჭირის, ყვავილის და ათასი სხვა ჭირისა და დოზანის გამომწვევი ბაქტერიოლოგიური იარაღი!

პოლკოვნიკი კენეტ ალიბეკი თავის სამშობლოში მილიონობით ადამიანთა მოსაკვდინებლად განკუთვნილი, გაუგონარი მასშტაბის ბაქტერიოლოგიური იარაღის შექმნას ხელმძღვანელობდა; ხოლო ახლა, მეორე ქვეყანაში (მის მეორე სამშობლოში), ამ იარაღისაგან თავდაცვის სამედიცინო ასპექტებს ამუშავებს!..

ჩემი აზრით, თუ პიროვნება გარემოებათა გამო, მთელი თავისი ცხოვრება მილიონობით ადამიანთა შესამუსრავად განკუთვნილი, ასობით ტონა ბაქტერიოლოგიური იარაღის დამზადებას ხელმძღვანელობდა, მას უფლება არ უნდა ჰქონდეს, ექიმის სახელი ატაროს...

**ჯუმბერ ჯიშკარიანი  
აშშ**



ქართველი პოლიტპატიმრები სოლოვეცკის ბანაკში

# რედია რედიარდ კიპლინგი

რედია რედიარდ კიპლინგი



ჯოზეფ რედია რედიარდ კიპლინგი – ინგლისელი მწერალი, პოეტი და ნოველისტი. კრიტიკოსები და მკითხველები მის საუკეთესო ნაწარმოებებად მიიჩნევენ *ჯუნგლების ნიგნს*, *კიმს*, *ლექსს უკანასკნელი სიმღერა*.

1907 წელს შედეგების სამეფო აკადემიამ კიპლინგს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიანიჭა. იგი პირველი ინგლისელი ლაურეატი. იმავე წელს დაჯილდოვდა პარიზის, სტრასბურგის, ათენისა და ტორონტოს უნივერსიტეტების მიერ. ოქსფორდის, კემბრიჯის, ედინბურგის და დარემის უნივერსიტეტებმა მიანიჭეს საპატიო ხარისხი. კიპლინგის მდიდარმა ენამ, მეტაფორების სიუხვემ, დიდი წვლილი შეიტანა ინგლისური ენის განვითარებაში.

რედია რედიარდი დაიბადა ინდოეთის ქალაქ ბომბეში. თორმეტი წლის ბავშვი, მშობლების ძალისხმევით, კერძო დევონის სასწავლებელში სწავლობს, შემდეგ პრესტიჟულ სამხედრო აკადემიაში უნდა ჩაერიცხათ. დევონის სასწავლებლის დირექტორი, მამის მეგობარი, კორმელ პრაისი მოზარდს დაეხმარა ლიტერატურის შესწავლაში. ახლომხედველობამ კიპლინგს ხელი შეუშალა, სამხედრო კარიერა გაეგრძელებინა. შვილის მოთხოვნებით ალფრთოვანებულმა მამამ, კიპლინგი მიიყვანა ლაჰორის სამოქალაქო და სამხედრო გაზეთის რედაქციაში. იგი ჟურნალისტიკაში ცდის ბედს.

1882 წლის ოქტომბერში რედია რედიარდი ინდოეთში ბრუნდება და ჟურნალისტად მუშაობს. თავისუფალ დროს წერდა პატარა მოთხრობებს და ლექსებს, რომლებსაც გაზეთში, სხვა სტატიებთან ერთად აქვეყნებდა.

80-იანი წლებში, როგორც ალაჰაბადის გაზეთ *პიონერის* კორესპონდენტი, კიპლინგი იწყებს მოგზაურობას აზიასა და აშშ-ში. გაზეთს უნდა გამოეცა მისი საგზაო ჩანახატები. რედია რედიარდმა თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა – ბირმი, ჩინეთი, იაპონია აშშ-ი, კანადა, ახალი ზელანდია, ეგვიპტე, ავსტრალია, ვესტ-ინდოეთი, ბრაზილია. მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებები მოთხრობებად, რომანად, ზღაპრებად და ლექსებად აქცია. დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ, კიპლინგი ლონდონში დასახლდა. მას უკვე ჩარლზ დიკენსის მემკვიდრედ მოიხსენიებდნენ. 1890 წელს გამოიცა მისი პირველი რომანი *ჩამქრალი სინათლე*.

1894-1895 წწ. იბეჭდება კიპლინგის ცნობილი *ჯუნგლების ნიგნი* და *ჯუნგლების მეორე ნიგნი*. ასევე, ლექსთა კრებული *შვიდი ზღვა*. 1897 წელს მოთხრობა *მამაცი ზღვაოსნები*, 1901 წელს რომანი *კიმი*. რედია რედიარდმა აფრიკაში შეაგროვა მასალები, ახალი საბავშვო ნიგნისთვის, რომელიც 1902 წელს გამოსცა, სახელწოდებით *უბრალო ზღაპრები*.

ტერმინი *ჯუნგლების კანონი* გულისხმობს დაუნდობელ ბრძოლას არსებობისთვის, პრინციპების დაცვის გარეშე. ცნობილი გამონათქვამი კიპლინგმა პირველმა დაწერა მოთხრობათა კრებულში *ჯუნგლების ნიგნი*. ტერმინმა მოვიანებით ფართოდ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში, საინფორმაციო საშუალებებში და პუბლიცისტიკაში. 1895 წელს გამოაქვეყნა ლექსი სახელწოდებით *ჯუნგლების კანონი*, რომელიც მრავალ ენაზე ითარგმნა.

რედია რედიარდის ნიგნები, გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ, ბესტსელერებად იქცა.

კიპლინგი ლიტერატურულ საქმიანობასთან ერთად, იწყებს პოლიტიკურ მოღვაწეობას. იგი წერს გერმანიასთან სამომავლო ომზე, გამოდის კონსერვატორთა მხარდაჭერით და ფემინიზმის წინააღმდეგ...

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, რედია რედიარდი ლიტერატურას მცირე დროს უთმობს. ომის შემდეგ, მუშაობდა სამხედრო დაკრძალვის კომისიაში. მისი შერჩეული ბიბლიური ფრაზა – *მათი სახელები მუდამ იცოცხლებენ ხსოვნის ობელისკებზე...*

კიპლინგის ნიგნებზე ხშირად იყო გამოსახული სვასტიკა. მწერალი ძველინდურ სიმბოლოს იყენებდა, როგორც წარმატებისა და ბედნიერების მომტანს. მას შემდეგ, რაც ნაცისტებმა სვასტიკა მოძრაობის სიმბოლოდ აირჩიეს, რედია რედიარდმა გრავიურაზე მომუშავე სპეციალისტი დაიქირავა, სიმბოლოები ძველი გამოცემებიდან გაანადგურა. ამ შესტით, საზოგადოებას დაანახა, რომ მწერალი არ თანაუგრძნობდა გერმანელებს. 1936 წლის საჯარო გამოსვლის დროს, კიპლინგმა დაგმო ნაციზმი და ლიად ისაუბრა ამ ფენომენის საშიშროებაზე.

1936 წლის 18 იანვარს კიპლინგი გარდაიცვალა სისხლის ჩაქცევით. მის ნაადრევ გარდაცვალებაზე ერთ-ერთ ჟურნალში, ადრე დაიბეჭდა ინფორმაცია. რედია რედიარდმა მისთვის ჩვეული ენამახვილობით, რედაქციას მისწერა: *ახლა ნავიკითხე, რომ გარდავიცვალე, არ დაგავინწყდეთ, ჟურნალის ხელმომწერთა სიიდან ამომშალოთ!*

რედია რედიარდი დაკრძალულია ვესტმინსტერის სააბატოში, პოეტთა კუთხეში...

## თუ

რედია რედიარდ კიპლინგი

თუ შეგიძლია, იყო მშვიდად, როდესაც ყველა ცილს გწამებს და აღსარებას შენგან ელოდეს, თუ შეგიძლია, როცა შენი არავის სჯერა, არ დაეჭვე და შენი თავის თვითონ გჯეროდეს.

თუ შეგიძლია, ელოდო და არ დაილალო, მოტყუებულმა არ ირჩიო სხვისი ცდუნება, შეძლებულმა სიძულვილი არ გაიკარო, სხვის საჩვენებლად არ ადიდო შენი ბუნება.

თუ შეგიძლია, ოცნება და არდანარცხება, თუ შეგიძლია, რწმენისათვის ბრძოლით იარო, თუ შეგიძლია, გამარჯვება და დამარცხება დარბაისლურად, ღირსეულად გაიზიარო.



ინოლა გურგულია

თუ შეგიძლია, გაუძლო რომ შენი სიმართლე სულელთა მახედ მოიხმარონ ავმა ენებმა, თუკი დაგემსხვრა, რაც გაგაჩნდა სულის სინათლედ, და ხელმეორედ წამოიწყო მისი შენება.

თუ შეგიძლია, ყველაფერი რაც მოგიგია, მოაგროვო და ერთ თამაშად სასწორი დადო, მერე წააგო ვაჟკაცურად, როგორც რიგია, და წაგებულზე ხმა არ დასძრა, არ დაიდარდო.

თუ შეგიძლია, შენი გული, ნერვი, კუნთები, თუ არ მოგყვება, მხოლოდ ნებით დაიყოლიო, თუ არ აპყვები უძლურებას, არ დაკუნტდები, რომ სიკვდილამდე შენი ჯერი არ მოილიო,

თუ შეგიძლია, დარჩე კაცი ბოლომდე სათნო, მეფის წინაშეც არ დაჰკარგო შენი ღირსება. ანდა გჯეროდეს, რომ ვერაფერ ვერაფრით გავნო, თუნდაც ხედავდე, რომ დიდება არ გელირსება.

თუ შეგიძლია, ულმობელი ცხოვრების ბედის ყოველი ნუთი გაიხადო სანდომიანი, მაშინ შენია ეს ქვეყანა, და უფრო მეტიც, მაშინ შენა ხარ ჭეშმარიტი ადამიანი.

ინოლა გურგულიას თარგმანი

# დავით სარაჯიშვილის დაბადებიდან 155 წლისთავი

## აკაკი წერეთელი, დავით და ეკატერინე სარაჯიშვილები

აკაკი წერეთელი, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძე, მეგობრობდა დავით სარაჯიშვილთან, პატივს სცემდა მის მეუღლეს ეკატერინეს, რომელიც ივანე ფორაქიშვილის ასული იყო. ეკატერინე კარგად ფლობდა გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს. 1904 წელს აკაკი წერეთელმა მიუძღვნა ლექსი ეკატერინე სარაჯიშვილისას:

თვალხილული ვერ გხედავდი  
რომ დავბრმავდი, ახლა გხედავ  
და გულში რაც ჩამსახვია  
იმის თქმასაც უფრო ვბედავ.

\*\*\*

შემიყვარდი, როგორც შვილი  
როგორც და და მეგობარი!  
ვაშა იმას, ვინც პოეტი  
ამღერა ცოცხალ-მკვდარი.

1905 წლის 3 აპრილს, დავით სარაჯიშვილის ახალი სახლის (საქართველოს მწერალთა სახლის) კურთხევის დღეს, აკაკი წერეთელმა ასეთი ლექსი მიუძღვნა:

სიმართლეს ვამბობ, როგორც მგოსანი,  
და თუ ტყუილი ვისმეს ჰგონია,  
სჩანს, რომ პირადად მე ის ვერ მიცნობს



დავით სარაჯიშვილი

და სხვისგან რამე გაუგონია.  
 მდიდარ-ღარიბი, ხარისხოვანი  
 და უხარისხო ჩემთვის ერთია!  
 სადიდებელი და სათაყვანო  
 რომ განვასხვავო, მხოლოდ ღმერთია!  
 შენ მე ვერ მიცნობ, მაგრამ მე გიცნობ!..  
 დიდი ხანია, რაც გაკვირდები!..  
 შენ იმას აძლევ ამ ჩვენს ქვეყანას,  
 რასაც არ ამბობ და არ ჰპირდები.  
 საქმე კეთილი რომ გამომჟღავნდეს,  
 შენ ერიდები... ეკრძალვი ქებას,  
 და, ვით მორწმუნე, მტკიცედ ასრულებ  
 საქრისტიანოს მით სახარებას:  
 რასაც რომ გაცემს შენი მარჯვენა,  
 არ ატყობინებს იმას მარცხენას!  
 ნებას არ აძლევ, რომ წაიციდინოს,  
 შეკავებულსა სიმდაბლით ენას.  
 მაგრამ, უნდა ვთქვათ, არ არის ძნელი,  
 რომ შეასრულო შენც შენი ვალი:  
 რადგანაც შენთვის ბედს მოუცია  
 თანამოაზრედ ქართველი ქალი.  
 ზოგჯერ ის შენაც არ გატყობინებს,  
 ისე გამოდის ქველის-მოქმედად,  
 გაჭირვებულის მომხმარებელად,  
 ქვრივების დად და ობლებს დედად.  
 დიდი ხანია ერთად ეწვეით  
 სიამტკებლობას და შეუღლებას!  
 მართლა რომ ესეც საკვირველია! –  
 დღეს ვინღა დასდევს ცოლ-ქმრის უფლებას?  
 ცუდი დრო დადგა, ცხოვრება წახდა!  
 ათასში ერთი თუ ინეტარებს!  
 მაგრამ გულწრფელად, ისე როგორც შენ,  
 ის მეათასეც ვერ გაიხარებს...  
 განგებამ მოგცათ სუ ყოლიფერი!  
 ნუ სწუხართ იმას, რომ ხართ უშვილო;  
 ნუთუ არ კმარა, შვილად და ძირათ  
 თქვენთვის სამშობლო და საქართველო!  
 იცოცხლეთ დიდხანს, იმხიარულეთ!  
 ბედნიერი ხართ ორთავ ცოლ-ქმარი!..  
 ამას გულწრფელად ვამბობ მგოსანი  
 და ამასვე ჟღერს ეს ჩემი ქნარი.

ასეთი პატივით იყო განმსჭვალული აკაკი წერეთელი დავით სარაჯიშვილისადმი. დიდი ქართველი მეცნიერისადმი, რომელსაც ამ საქმეში მხარს უზამდა, მისი მეუღლე თანამოაზრე ქართველი ქალი.

1905 წელს აკაკი წერეთელმა დავით სარაჯიშვილისა და ეკატერინეს რჩევით, გადაწყვიტა სამკურნალოდ წასვლა ბერლინში, პროფესორ ლეიდენთან. ჯერ პეტერბურგში ჩავიდა. 25 მაისს პეტერბურგში მყოფი აკაკი წერილს უგზავნის ტასო მაჩაბელს (1869-1917).

ტასო მაჩაბელი ივანე მაჩაბლის მეუღლე და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე იყო. ერთ დროს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

თავის წერილში აკაკი წერეთელი ასე მოიხსენიებს მას: საყვარელო და ძვირფასო მეგობარო ტასო!

წერილში ასეთი სტრიქონებია: ბერლინამდე შვილი მომყვება და ის მიმიყვანს ლეიდენთან. მისი კარგი მეგო-

ბარია. ამიტომ, არ მინდა შეევანუხო ეკატერინე ივანოვნა. როგორც ჩანს, ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე, რომელიც მზად იყო გაჰყოლოდა ეკატერინეს ბერლინში ლეიდენის კლინიკაში.

აკაკი ბერლინიდან პარიზში ჩადის. თბილისში დეპეშას უგზავნის ტასო მაჩაბელს: ეკატერინე ივანოვნა ხომ არსად წასულა? რას იქმს, როგორ არის?

ახლა. 28 ივნისს პარიზიდან ისევ ტასო მაჩაბლის სახელზე გამოგზავნილი ვრცელი წერილი და სტრიქონები:

1911 წელს საქართველომ დაკარგა დავით სარაჯიშვილი. აკაკი წერეთელი გულმოკლული მიდის სასახლის ქუჩაზე მის ცხედართან და ამბობს: მთელ საქართველოში გაისმის დათიკოს სიკვდილი. სიტყვა დათიკოს განძრახვამბობ, რადგან ამ სახელით იცნობდა განსვენებულს მთელი ქართველობა. სიტყვა დათიკო არა კნინობითი, არამედ გულიდან ამოძახილია. სადაც სიყვარული და თანგრძნობა გამოიხატება. რამ დაამყარა ასეთი კავშირი მათ შორის? ხარისხოვნებამ, სიმდიდრემ?.. არა... მდიდრები იყვნენ ჩვენში, ოხრად ცხოვრობდნენ და ოხრად რჩებოდათ ქონება. განსვენებულმა ქართველების სიყვარული მოიპოვა, სადაც დაყვედრების დროსაც, ჭირისუფლის სიყვარული გამოიხატებოდა. როდესაც დიდი გვარის შვილებს, რომელთაც დიდძალი მამულები, ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლით გაუფენილები დარჩათ, და გულგრილად უგდებდნენ ხელში უცხოელებს. განსვენებული დავით სარაჯიშვილი შრომით და ინტელიგენტურობით მოპოვებულ ქონებას, ქართველობას უწვანებდა. ახალ თაობას სწავლა-განათლების მიღების საშუალებას აძლევდა სტიპენდიებით. იგი საიდუმლო ქველმოქმედიც იყო, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა. ბუნების კანონს ვერავინ შეცვლის, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. დათიკოც მოკვდა. მაგრამ ამგვარი სიკვდილი, რომელიც სამარადისო სახსოვარს ტოვებს, არა მარტო ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების გულში, უცხოელებშიც კი, სანატრელია, ძველთაგან ასეთი ანდერძი გვექონდა: ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა ვით ქვიტკირსა... საქართველოს ბევრი ჭირი გადაუტანია, და ეს პატარა ჭირიც უნდა გადავიტანოთ. ქართველობაში სხვებიც გამოჩნდნენ მისი მიმბაძავი. საუკუნოდ იყო შენი სახსენებელი, ძმად დათიკო!.. არ დაგივიწყებ ჩვენი შთამომავლობა, ყოველი ეროვნული საქმის დროს. მშვიდობით, დღეიდან ვერ გიხილავთ. გულის ფიცარზე მარად გვეყოლები დახატული.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მართებულად აღნიშნა აკაკი წერეთელმა, შთამომავლობა არ ივინყებს დავით სარაჯიშვილს. გულის ფიცარზე ჰყავს დახატული, და არა მარტო ქანდაკებებში.

იაკობ ნიკოლაძეს (1876-1951) – თანამედროვე ქართული ქანდაკების ფუძემდებელს, 1912 წელს გადაუწყვეტია დავით სარაჯიშვილის ქანდაკების დამზადება. ეს ამბავი აკაკი წერეთელმა შეიტყო და მოქანდაკის ატელიეში მისულა.

მგოსანი წერდა: *დავათვალეიერე ნიკოლაძის ატელიე, სხვაგანაც ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი სიამოვნება არსად მიმიღია. აღფრთოვანებული დავრჩი დათიკოს ძეგლით. ქანდაკება წარმოადგენს ერთად თავმოყრილ სამ ქალს – ერთი მოხუცი, შუაში რომ დგას, ემბლემაა მწუხარების.*

*მარჯვნივ – ნუგემის და სევდის გამომხატველი ქალი ტუბილი ღიმილით ამხნევეს. მარცხნივ – პირდაფარული სვე-ბედი და ანთებული ლამპარი, საუკუნო სიცოცხლის ლამპარი უჭირავს, მაღლიდან გადმოფარვია ბოროტი სული, სიკვდილის ანგელოზი, და მრისხანედ სულს უბერავს ლამპარს, რომ ჩააქროს... ეს დიადი იდეა, ბევრ რამეს გულისხმობს. ხოლო ეს მოსაზრება მოქანდაკეს დაუკაფშირებია დავით სარაჯიშვილის ბედთან. სურს, ძეგლად მიუძღვნას.*

### სწოზილი ქართველები დავით სარაჯიშვილზე

რუსუდან ნიკოლოზის ასული ნიკოლაძე – პროფესორი, საქართველოს დამსახურებული მოღვაწე, 1933-1974 წწ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არაორგანული და ზოგადი ქიმიის კათედრის გამგე. მრავალი სამეცნიერო, მეთოდური და მემუარების ავტორი.

რუსუდან ნიკოლაძე იხსენებდა: *ერთხელ, ჩვენთან სახლში ყოფნის დროს, აკაკიმ იხუმრა, – რა მეშველება, ჩემო ნიკო, დათიკო რომ არ მყავდესო, – არაფერია, ჩემო აკაკი, შენ გაუძღებ სიღარიბეს. მაგრამ, რა ეშველება ქართულ თეატრს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ღარიბ მსახიობებს და მოსწავლეებს უდავითოდ?..*

ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი – ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგი და ისტორიკოსი. საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიისა და მატერიალური კულტურის მკვლევარი. 1900 წელს პარიზის საერთაშორისო გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით, ფრანგულ ენაზე გამოვიდა მისი წიგნი საქართველოს ისტორია. მისი ინიციატივით და მატერიალური დახმარებით, მოსკოვში შეიქმნა ქართული კულტურის მოღვაწეთა საზოგადოება.

ალექსანდრე ხახანაშვილი დავით სარაჯიშვილისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში წერდა: *არც ერთი საქვეყნო საქმე არ დაწყებულა ოცდაათი წლის განმავლობაში, რომ დავით სარაჯიშვილს თავისი წვლილი არ შეეტანოს, მატერიალური დახმარება არ გაენიოს ჟურნალ-გაზეთების, წიგნების გამოცემას. სცენის მოყვარულთა, მომღერალთა, მუსიკოსთა, მეცნიერთა აღზრდას, ეკლესიის და სკოლის გამშვენებას, ღარიბთა და უძღურთა გაკითხვას, უცხოელთა და შინაურთა გამასპინძლება-დაახლოებას.*

ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი – ცნობილი ქართველი ეკონომისტი, პროფესორი, პუბლიცისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-



დავით სარაჯიშვილის ძეგლის ესკიზი, იაკობ ნიკოლაძე

ტის ერთ-ერთი დამაარსებელი. იყო გაზეთ ივერიის რედაქტორი. 1920 წელს გერმანიაში ჩავიდა, სადაც მთავრობის დავალებით, მოლაპარაკებებს აწარმოებდა საქართველო-გერმანიის ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებზე.

ფილიპე გოგიჩაიშვილი ასე იხსენებდა დავით სარაჯიშვილს: *გაცემას ყოველთვის ისეთ ხასიათს აძლევდა, თითქოს იგი თავისთავად ეკუთვნოდა მიმღებს, და მის პიროვნებასთან არ ჰქონდა კავშირი. თავმდაბლობა, გულკეთილობა, გულწრფელობა გამოსჭვივოდა მის ქმედებებში. ყოველივე ეს გვხიბლავდა და გვაყვარებდა მას...*

იაკობ ალექსანდრეს ძე მანსვეტაშვილი – ცნობილი ქართველი მწერალი, ჟურნალისტი, 1886-1890 წწ. ილია ჭავჭავაძის ივერიის მუდმივი თანამშრომელი. წერდა ფელეტონებს, კრიტიკულ წერილებს, მოთხრობებს და ნარკვევებს – *ალექსანდრიძის, დონიაგოს, ბარელის* და სხვა ფსევდონიმებით. იყო *ქართველთა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* მდივანი.

იაკობ მანსვეტაშვილი იგონებდა: *დავითი ილიას ნაწარმოებების განუყრელი ნათლია იყო. იმდენად გულუხვი, რომ ნათლობასაც თვითონ იხდიდა თავის სტუმართმოყვარე სახლში. ასე იყო მონათლული განდევნილი. სალამოს რვა საათი იქნებოდა, სარაჯიშვილის ფართო, მდიდრულად მოწყობილ სახლში, სოლოლაკში დიდძალ ქართველობას მოეყარა თავი... ილიამ წაიკითხა თავისი მოთხრობა, კარგა ხანმა გაიარა. შუალამე გადასული იყო. პურადმა მასპინძელმა ყველანი ვახშმად მიგვიწვია. შევედით დიდ სასადილო ოთახში, სადაც დიდებული სუფრა იყო გაშლილი, ვახშმამა მხიარულად ჩაიარა. თავისი ლაზათი დასდო სუფრას თამადამ, მოხუცმა რაფიელ ერისთავმა.*

დავით სარაჯიშვილის სახლში რაფიელ ერისთავი მიღებული კაცი იყო. მისი თამადაობა დავითის სურვილი იყო. იცოდა, ილია ჭავჭავაძის ინიციატივით, 1895 წელს აღინიშნა რაფიელ ერისთავის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე, რომელიც დიდ სახალხო ზეიმად იქცა.

იაკობ გოგებაშვილი იგონებდა: *დავით სარაჯიშვილს მამიდან დარჩა მცირედი თანხა. მან ეს თანხა თავისი ცოდნითა და მხნეობით, მილიონებად აქცია. თუმცა თავის მომუშავეთ აძლევდა იმდენ საფასს, რამდენსაც არც ერთი მდიდარი მილიონერი არ იმეტებდა და იმეტებს. ბოლოს მთელი თავისი ქონება, შექმნილი უმნიცვლო გზით, თავის სამშობლოს დაუტოვა... ის რომ ჩვენებური ბრწყინვალე ნოდების ყოფილიყო, მამისგან დარჩენილ თანხას სწრაფად გაფლანგავდა, გადატაკებოდა და თავად იქნებოდა ქველმოქმედების ობიექტი, ასეთ მაგალითებს ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ ჩვენს დროში.*

ანდრე კარბელაშვილი



# ფეხზე დაგიდგები ჩემო საქართველო!



მზია კინმარიშვილი

როდესაც 128-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ქალბატონმა მზია კინმარიშვილმა VII<sup>2</sup> კლასში ნიგნიერების გაკვეთილზე მიმინივია, ეჭვიც არ შემპარვია, რომ რაღაც განსაკუთრებულისა და საინტერესოს მოწმე გავხდებოდი... გაკვეთილის თუ დღესასწაულის, რომელიც მზია მასწავლებელს, ისე შეუძლია მოაწყოს, რომ იმ საოცარი სამყაროს თანაზიარი ხდები, რაც მისთვის და მისი მოსწავლეებისათვის, ესოდენ მშობლიური და მახლობელია...

მერამდენე ღია გაკვეთილია? უნებლიედ ჩამოთვლა დავიწყე: ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო – XI კლასით აღტაცებული მუხრან მაჭავარიანი, კახი კავსაძე, ერეკლე სალღანი, ჯემალ ჭკუასელი, გია ბალაშვილი, ეთერ კაკულია; გიორგი ლეონიძის ნატურის ხე – VIII კლასი, ახალგაზრდების ცოდნით განცვიფრებული უმცროსი გიორგი ლეონიძე (პოეტის შვილიშვილი); გაკვეთილი პატარძელში, გოგლას სახლ-მუზეუმში; ძველი ქართული ლიტერატურა-ჰაგიოგრაფია – სასკოლო ქრესტომათიის ავტორები – მანანა გიგინეიშვილი, გია ალიბეგაშვილი; ნოდარ დუმბაძის შემოქმედება – მწერლისადმი ახალგაზრდების დამოკიდებულებით აღტაცებული მწერლის ოჯახი, ალავერდობა – XII კლასელები სტუმრად რეჟისორ გიორგი შენგელაიასთან; მწერალი გაკვეთილზე, გურამ დოჩინაშვილი კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა – XII კლასი; ანა კალანდაძე – პოეზიის გაკვეთილი, პოეზიის დედოფლის სახლში; ვაჟას პოეზია – XI კლასის შეხვედრა პოეტის შთამომავალთან, ლელა რაზიკაშვილთან; პოეზია უპირველეს ყოვლისა – გალაკტიონის პოეზიის სიღრმისეული გააზრებით აღტაცებული ნოდარ ტაბიძე და ვახტანგ ჯავახაძე; დიდოსტატის მარჯვენა – გაკვეთილი მცხეთაში, სვეტიცხოვლის ეზოში და ცრემლმორეული თამაზ კვაჭანტირაძე; ჩვენ გვიყვარს რევაზ ინანიშვილი – V კლასი, მოსწავლეების მიერ მწერლის შემოქმედების არაჩვეულებრივი ცოდნით და საკუთარი აზრის გამოთქმის საოცარი უნარით მოხიბული მწერლის მეუღლე – როზა ინანიშვილი; ლევან გოთუას ქვის დედა ენა – VI კლასი, მწერლის შემოქმედების სიღრმისეული ცოდნით კმაყოფილი ქალიშვილი – ლელა და ძმიშვილი – მია გოთუები... ეს არასრული ჩამონათვალია იმ მართლაცდა ცოდნისა და აზროვნების ზეიმისა, რომე-

ლიც გულგრილს არავის ტოვებს, არც სტუმარს და არც მასპინძელს...

2019 წლის 4 ივნისი, 128-ე საჯარო სკოლა, VII<sup>2</sup> კლასი, ლიტერატურის გაკვეთილი ფეხზე დაგიდგები ჩემო საქართველო! – ასე ეწოდება შეხვედრას, მე-7 კლასელი თვალხატულა გოგო-ბიჭები რომ გვეპატიჟებიან... საკლასო ოთახში ის ორი თაობაა, რომელთაც მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქალბატონი მზია კინმარიშვილი აერთიანებს. უფროსები – თმაშვერცხლიანი, სტუმრის სტატუსით სხედან, უმცროსები, – მასპინძლობენ... მათ შორის სხვაობა თითქმის ხუთი ათეული წელია, მაგრამ რადგან სამშობლო, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა, მათ შორის ასაკობრივი ზღვარი ნაშლილია. ერთმანეთს ცვლის მამულის სადიდებლად წარმოქმული პოეზიის შედეგები. თითქოს ყველა ლექსი ნაცნობია, მახლობელია, მაგრამ იმ საოცარ სიყვარულსა და გულწრფელობას, რომლითაც მოსწავლეები სამშობლოს ეფერებიან, უჩვეულო ენერჯია მოაქვს... რა ლამაზია, რა მშვენიერია ჩვენი მამული... ეს ჩემი გირი, ბრძენი ჭირგამოვლილი წინაპარია, საუკუნეთა ქართველებიდან რომ მოგვცახსი:

შენ სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო,  
შენ სად არ გხვრეპდა შავი ყორანი,  
ვინ გაგვაკვირვოს, რამ გაგვაკვირვოს  
ნადიდგორალი, ნაშამქორალი...

შესცქერი ამ მშვენიერ გოგო-ბიჭებს, გული სიამაყითა და სიხარულით გვესება. კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ქართულ გენს გადაშენება არ უნერია; მაინც საიდან მოდის ეს საოცარი მუხტი? როგორ გაითავისეს ასე მოზარდებმა სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული პოეტური შედეგები?

პასუხი ერთია – ეს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ქალბატონ მზია კინმარიშვილის დაუღალავი შრომის შედეგია, როცა გასცემ იმას, რაც შენი გულის ნაწილია – ორგანულია!.. ბუნებრივია, გიბრუნდება ისე, რომ კიდევ უფრო მეტის გაცემის იმპულსი ჩნდება...

პედაგოგის შრომა, მართლაც რომ შეუფასებელია, ერთადერთი საფასური, ალბათ, მაღლიერებაა, რომლის გამოხატვაშიც ერთმანეთს ეცილებიან ქალბატონ მზიას ყოფილი მოსწავლეები: ბესარიონ ორმოცაძე – საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მთავარი ოპერატორი, დავით კობრეიძე – ქირურგი, დავით გეგელაშვილი – მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრის მუზა დირექტორი, ზურაბ ბერძენიშვილი – საფრანგეთში მოღვაწე ბიზნესმენი, გიორგი ამბარდნიშვილი – ფინანსისტი, ნინო გუჩუა – თიბისი ბანკის სათაო ოფისის სერვის ცენტრის ადმინისტრატორი.

ასე იკვრება წრე, რომლის შუაგულში დგას ღვანლმოსილი პედაგოგი, გამოცდილებით, ენერჯითა და ახალგაზრდების სიყვარულით აღსავსე...

მახსენდება ქალბატონ მანანა გიგინეიშვილის სიტყვები: ქალბატონ მზიას მსგავსი ათი მასწავლებელიც რომ მოიძებნოს საქართველოში, ჩვენი მომავალი ნათელია...

ნუნუ მილორავა  
თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლის ქართული  
ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი  
2019 წლის ივნისი



# უანბარო მსახურების სამოსი წელი...

83 წლის თამარ ასკურავა სახალხო განათლების წარჩინებული პედაგოგია. სამოცი წელი თავდაუზოგავად ემსახურა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლას.

ქალბატონ თამარს სოფელ გვიმალაურში ვესტუმრეთ. მამის, ვლადიმერ ასკურავას ფოტოები დავათვალიერეთ, – ლელა, ძალიან ლამაზი მამა მყავდა. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, ავსტრიაში ტყვედ ჩავარდა. სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა. გვამის გაკვეთის დროს, შეუძლოდ გახდა და სწავლა მიატოვა. გადასახლებაში ათი წელი გაატარა. შემდეგ სოფელ შუხუთში დაბრუნდა. 40 წლის ასაკში დაქორწინდა ქსენია ჩხაიძეზე. დედა განათლებული ქალი იყო, გიმნაზიაში სწავლობდა, არასდროს უმუშავია. შეეძინათ ოთხი შვილი – ავგუსტი, თინათინი, თამარი და ნინო. ეკონომიურად ძლიერი ოჯახი გვექონდა. მამა კარგად ფლობდა რუსულ და გერმანულ ენებს, თანასოფლელებს უკითხავდა გაზეთებს, უთარგმნიდა ტექსტებს. ჩვენს წინ მცხოვრებმა მეზობელმა მამა დააბეზლა, თითქოს ხალხს აქეზებდა, უცხოეთში კარგი ცხოვრებაა, ჩვენთან კი, არა...

მე და მამა ერთ სანოლში ვიძინებდით, გამორჩეული ურთიერთობა გვექონდა. დედას უკვირდა, – თამარი მესამე შვილია, ასე რატომ გიყვარსო?... ღამის 12 საათზე, როცა ტკბილად გვეძინა, ჩვილი ნინო კი, აკვანში იწვა, სადამსჯელო ჯგუფის წევრები მოვიდნენ. გაგვეღვიძა, შეიარაღებულები რომ დავინახე, მამას ყელზე მოვეხვიე, ვერ მომაშორეს, ვტიროდით. დედამ მიაბო, ზურგზე კონდახი ჩამარტყეს, ორი წლის ბავშვი ჩამოვსრიალდი. მამა ნაიყვანეს და დააპატიმრეს. დედას ჩემს გვერდით არ ვანვენდი, ვეუბნებოდი, – მამა უნდა დაბრუნდეს, იატაკზე შლიდა ჭილოფს და ისე იძინებდა. სადილის დროს, ვითხოვდი, – ჯერ მამის ულუფა მაჩვენე...

დედის ძალისხმევით, მამა გაასამართლეს. აინტერესებდა, ვინ დააბეზლა იგი. ამ კაცს მთელი ცხოვრება არ ელაპარაკებოდა. მის შთამომავლობასთან დღემდე კარგი ურთიერთობა გვაქვს. მართლაც, ლანჩხუთში გაიმართა პირველი სასამართლო პროცესი. სხდომაზე დამბეზლებელს ჰკითხეს:

– რას უთარგმნიდა თანასოფლელებს ვლადიმერ ასკურავა?

– უცხო ენები არ ვიცი.

– აბა, როგორ მიხვდი, შეცვლილ ტექსტებს რომ უკითხავდა?..

მიუხედავად ამისა, მამას ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს და გადაასახლეს. ასე რომ, 1937 წლის რეპრესიები ჩვენს ოჯახსაც შეეხო. ჩვენს მეზობელს შუხუთში ბევრი დაუბეზლებია. მასსოვს, სასამართლო პროცესზე რომ მივედი, მამამ დამიძახა, მუხლებზე დამიჯინა, მომეალერსა და მკითხა, – თამარ, სახლში რომ დავბრუნდები, რას დამახვედრებ? – მითქვამს, ყველაზე დიდ ხაპს დაგახვედრებ... ლელა. მამასთან დამორება გამიძნელდა, არ ვთამაშობდი, ველოდებოდი, როდის დაბრუნდებოდა, მაგრამ ამოდ... დედა ცოტა ხანი იღებდა მამის გამოგზავნილ წერილებს, შემდეგ შეწყდა. უმამოდ, ობლად გავიზარდეთ, დედა მზრუნველობას არ გვაკლებდა, გვამეცადინებდა. ოთხივე და-ძმა ერთ სკოლაში ვსწავლობდით, ფრიადოს-

ნები ვიყავით. ასკურავები მისათითებელი ბავშვებია, – ასე გვახასიათებდნენ პედაგოგები. დედა მკერავი იყო, ზოგჯერ ტანსაცმლის ნაჭერს გადააბრუნებდა და ისე შეგვიკერავდა. სულ კოხტად გვეცვა. დედის ძმები გვეხმარებოდნენ. ნაკვეთს ვამუშავებდით, გვექონდა ვენახი, სამი წლიდან ვმუშაობდი. ორ ოთახში ვიზრდებოდით... მამას სახლის აშენება სურდა. მისი ანდერძი ჩემმა ძმამ აასრულა, მეც დავეხმარე. ასე მგონია, ახლა შუხუთში მამის ძეგლი დგას... ტკბილად მაგონდება ჩემი სკოლა და მასწავლებლები: დირექტორი მელენტი ჩიტაძე, მისი მეუღლე მადონა გოგოლაძე. მათემატიკის მასწავლებელი დარეჯან სიხარულიძე ჩემთვის მისაბაძი იყო. სახლში საკლასო დაფაზე, თანატოლებს თეორემების დამტკიცებას ვასწავლიდი. ბიოლოგიის მასწავლებელი ელენე იმნაიშვილი და სხვ.

ოთხივემ პედაგოგის პროფესია ავირჩიეთ. ვსწავლობდი ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. შემდეგ ჩემი ძმა საინჟინრო ფაკულტეტზე გადავიდა. იყო წარმატებული მშენებელ-ინჟინერი, დაინიშნა ბათუმის სამმართველოს უფროსად. ორი და ფიზიკა-მათემატიკის სპეციალისტი, მესამე კი, ფილოლოგია. ახლა ჩემს ოჯახში რვა პედაგოგია, ოთხი შეძენილი, რძალი, სიძე... ოთხი ჩვენ – იცინის. ასე რომ, ტრადიცია გრძელდება... სკოლაში

პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ყოველთვის გულთბილი ურთიერთობა მქონდა. ბევრი ძნელად აღსაზრდელი ბავშვი გამოვასწორე ჩემი მიდგომით. ვთვლი, რომ არ არსებობს ბავშვი, რომლის გაგებაც შეუძლებელია. მოზარდის ფსიქიკა ღრუბელივით ისრუტავს ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება. ხშირად ვეუბნები, პედაგოგის პროფესია აირჩიეთ, – თამარ მასწავლებლო, სად გვაქვს ამის ნევრებიო, – მეუბნებიან... სწორედ, ნევრების მოთოკვა უნდა შესძლოს ნამდვილმა პედაგოგმა. ახალგაზრდებმა მომავალი პროფესია სიყვარულით აირჩიონ და ბოლომდე უერთგულონ...

ქალბატონი თამარი ინსტიტუტის დასრულების შემდეგ, 1959 წელს სოფელ მამათის სკოლაში გაანაწილეს. მეორე წელს N1 საჯარო სკოლაში გადავიდა. მოსწავლეების მხოლოდ ფიზიკას ასწავლიდა. მისი დირექტორები იყვნენ გიორგი ჩხაიძე, ვალერიან ჩიკაშუა, გივი ხალვაში. თამაზ კილაძე სულ ეუბნებოდა, – შენზე უკეთესი მასწავლებელი ვინ უნდა მოვიყვანო, სულ ჩემს გვერდით იქნებო. თუმცა, ახალგაზრდებს დაუთმო ასპარეზი... განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით ისარგებლა, მოღვაწეობა დაასრულა. ორი წლით ხელფასს მიიღებს. ღირსეული პედაგოგის მთავარი ჯილდო მისი მოსწავლეებია, რომლებსაც განსაკუთრებით უყვართ...

მეუღლე, პედაგოგი გივი ზენაიშვილი ასწავლიდა მათემატიკას. შემდეგ საინჟინრო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. იყო ლანჩხუთის ელექტროგაყვანილობის ქსელის ხელმძღვანელი. ქალბატონ თამარს ჰყავს ორი შვილი და შვილიშვილები.

ქალბატონო თამარ, გმადლობთ.

ლელა სურმავა  
ლანჩხუთი, 20 აგვისტო  
2019



# ...შევსვალთ საყვარო უკეთესობისაკენ...



მარინა თოფურია

ანტიპარტიდის მოძრაობის ლიდერის, ნელსონ მანდელას თქმით, განათლება ძლიერი იარაღია, რომელსაც ცხოვრების შეცვლა შეუძლია. განათლებული თაობა დადებით როლს ასრულებს. გამოირჩევა თავისუფალი აზროვნებით და სითამამით. ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, მარინა თოფურიამ ირწმუნა მათი შესაძლებლობები, უკვე ოცი წელი, თვრამეტ წლამდე მოზარდების და ხანდაზმულთა უფლებებს იცავს. საზოგადოებას ახალი იდეებს სთავაზობს. წარმატებული პროექტები, სწორედ მისი დამსახურებაა...

– 1987 წელს დავასრულე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. 1992 წელს ქ.ოზურგეთის N1 საჯარო სკოლაში, დავინყე ფსიქოლოგად მუშაობა. კარგი გამოცდილება მივიღე. იმ დროს ძველი სასკოლო სისტემა დაინგრა, მოზარდები მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ, ახალი ამოცანებით... სწორედ ეს გახდა ინსპირაციის წყარო, შეგვექმნა არასამთავრობო ორგანიზაცია, სადაც ამ საკითხებზე ვისაუბრებდით, და-

ვებმარებოდით ახალგაზრდებს...

– სამი ათეული წელი ქალაქ ოზურგეთში ცხოვრობთ. გვიამბეთ თქვენს მეუღლეზე და შვილებზე.

– მე და გია მენაბდე გურიაში შევეუღლდით. ოცი წლიდან აქ ვარ. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება გურიაში გავატარე. მიყვარს გურია და გურულები – მშფოთვარე, საქმიანი და კეთილი ადამიანები... ჩვენს ოჯახს ჰქონდა საინტერესო ეპიზოდები – კარგიც და ცუდიც. ბევრი ვიშრომეთ, გაგვიმართლა. კმაყოფილი და უკმაყოფილო ადამიანებიც გავიჩინეთ. გულწრფელ ბოდიშს ვუხდით ყველას, ვისაც იმედები გავუცრუეთ. გია პროფესიით ინჟინერია, ახლა, ბიზნესში მოღვაწეობს. გვყავს ორი შვილი – ვახუშტი და ბექა. ვახუშტი კარგი კონსტიტუციონალისტია, ბექა კარგი ინჟინერი. უყვართ თავიანთი საქმე. რძალი ნინუცა ჭკვიანიშვილი, ორი შვილიშვილი მამო და ანასტასია – გურიაზე შეყვარებულები, ხშირად არიან შინ...

– შემოქმედში გაქვთ ღვინის მარანი, მენაბდეების საოჯახო მეურნეობაში დანერგულმა ჩხავერმა ღვინის სპეციალისტებში დიდი მონაწილეობა დაიწახსურა. ვენახის მოვლას ბევრი პრობლემა ახლავს თან... მაგალითად, სოფელში არ არის წყალი, ყიდულობთ. მიუხედავად ამისა, უვლით ვენახს, საოჯახო სასტუმროში ჩამოდიან ტურისტები...

– დიახ, შემოქმედში ჩვენს ოჯახს აქვს ვენახის (ჩხავერის მეურნეობა) და ღვინის მარანი. ოთხი წლის წინ, მამაკაცებმა უნიკალური გურული ჯიშის, ჩხავერი აღადგინეს თავიანთი სახსრებით, და არა სახელმწიფოს თანადგომით თუ გრანტით. ახალი წამოწყებისთვის სხვებს უფრო ესაჭიროება დახმარება, ვიდრე ჩვენ... ასე შეიქმნა საოჯახო მეურნეობა. ვაყენებთ ღვინოს. შემოქმედში ჩამოსულ ქართველ თუ უცხოელ ტურისტებს ვაცნობთ გურიის ეთნოგრაფიას, გასტრონომიას, მეღვინეობის ტრადიციებს. ოჯახის ყველა წევრი ჩართული, გვიყვარს და სიამოვნებას გვანიჭებს ჩვენი საქმე. ღვინის სპეციალისტების თქმით, ჩხავერს დიდი მომავალი აქვს. რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობაში პრობლემები და რისკები ბევრია. შემოქმედის მთავარი პრობლემაა წყალი, უბანს არ მიენოდება. ალბათ, გახსოვთ, ძველად სოფლის ეზოებში პატარა ღელეები მოჩუხჩუხებდა და მინისქვეშა ჭებს წყლით კვებავდა. გვითხრეს, მალე დასუფთავდება, აღდება ძველი სათავეები.

– როდის დაარსდა ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, ვისი იდეა იყო?

– 1996 წელს. არასამთავრობო ორგანიზაციის შექმ-



მენაბდეების საოჯახო მეურნეობა



ნის მიზანი იყო, სასკოლო სისტემაში და არაფორმალურ განათლებაში ცვლილების დანერგვა. დემოკრატიული ღირებულებების მქონე მომავალი თაობის აღზრდა. შევიკრიბეთ მე, ჩემი მეუღლე, მეგობრები და დავინწყეთ ფიქრი...

**- ფიქრმა შედეგი გამოიღო?..**

- რა თქმა უნდა, ლელა. არასამთავრობო ორგანიზაციის მიზანია, მოწყვლადი ფენების სოციალური უფლებებისა და ინტერესების დაცვა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, ამ პროცესში ცალკეული პირების ჩართვა.

**- ვინ აფინანსებს ორგანიზაციას?**

- პირველი დონორი იყო ჩემი მეუღლე... შემდეგ ფონდი ჰორიზონტი. ბევრი ამერიკული და ევროპული ორგანიზაცია, იაპონიის საელჩო. ასლა, ფინანსურ მხარდაჭერას გვინევს გერმანული ორგანიზაცია პური მსოფლიოსთვის. ჩვენი ორგანიზაცია მუშაობს სამი მიმართულებით:

პირველი: სოციალურად მოწყვლადი ფენების ინტერესების დაცვა. ვაფასებთ 18 წლამდე პირების, მათი ოჯახების (მათ შორის შშმ პირები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები) და ხანდაზმულების სოციალურ მდგომარეობას. კომპეტენტურ უწყებებთან თანამშრომლობით, მიმდინარეობს ცვლილებების ადვოკატირება სოციალური დაცვის პოლიტიკაში. აღნიშნული სფეროს რეფორმირების პროცესში, ვებმარებით სახელმწიფოს ალტერნატიული სოციალური მომსახურებების დანერგვაში. კერძოდ, გურიის რეგიონში ადმინისტრირებას ვუწვევთ ორ სოციალურ მომსახურებას: 1. მცირე საოჯახო სახლი (2007-2018 წწ. სერვისი არ ფუნქციონირებს, თავისი ფუნქცია შეასრულა) 2. ხანდაზმულთა სათემო მომსახურება (2012 წლიდან დღემდე).

მეორე: ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, მათი ჩართვა ბავშვთა უფლებების დაცვისა და პოპულარიზაციის პროცესში. მონაწილეობა სკოლისა და თემის დონეზე. 1996 წელს შეიქმნა ლიდერთა სკოლა. განათლების არაფორმალური ცენტრი პირველად დაარსდა ოზურგეთში, შემდეგ ლანჩხუთში, ჩოხატაურში და თბილისში. განათლების კონცეფცია ეფუძნება: ა) დემოკრატიული ღირებულებებზე ინფორმირება მიწოდებას. 2) მათ მიერ შესწავლილი და გააზრებული ინფორმაციის გავრცელებას თანატოლებში, გ) ცვლილებების მიზნით, მოზარდების ჩართვა სამოქალაქო მონიტორინგისა და ადვოკატირების პროცესში. ცენტრი მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობებთან, რომ უზრუნველყოფს, თანატოლთა უფლებების დაცვა, ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებასა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ხელს უწყობს ახალგა-

ზრდებში სათანადო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, შესაძლებლობების რეალიზებას და თემის განვითარებაში თანამონაწილეობას.

მესამე: საჯარო სკოლების დემოკრატიზაციის ხელშეწყობა. განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმისა და სკოლის მართვის პროცესში მშობლების, მოსწავლეების და თემის თანამონაწილეობით, მოსწავლეთა საჭიროებებზე დაფუძნებული დემოკრატიული და გამჭვირვალე სკოლის მართვის სისტემის ჩამოყალიბება. კვლევების შედეგად, პრობლემური საკითხების გაანალიზების საფუძველზე, შევიმუშავეთ რეკომენდაციებს, ვანვადით საგანმანათლებლო უწყებებს, ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე, უნდა გაითვალისწინონ საგანმანათლებლო სფეროში არსებული გამოწვევები, საჯარო სკოლების ორგანიზაციული კულტურის ამაღლებისა და ინსტიტუციური მდგრადობისთვის. ვუწვევთ კონსულტაციებს, ვატარებთ ტრენინგებს. გურიამი ფუნქციონირებს ლიდერების (პედაგოგები, მშობლები) ცვლილებების აგენტების საგანმანათლებლო სკოლა. ჩვენი კონცეფციაა, საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება, ასევე, სოციალური საკითხების გადაწყვეტა.

**- რატომ შეარჩიეთ ორი სამიზნე ჯგუფი, თვრამეტ წლამდე მოზარდები და ხანდაზმულები?**

- დამეთანხმებით, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებია. სწორედ მათთან ურთიერთობის დროს, ვუშვებთ შეცდომებს. ამიტომ, ბევრი უნდა ვიმუშაოთ, განვსაზღვროთ პრიორიტეტები და საჭიროებები. სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართულებით სწორად დაიგეგმოს.

**- მკითხველებს გავაცნოთ თქვენი ორგანიზაციის თანამშრომლები. ფილიალი თბილისშიც გაქვთ.**

- გვყავს საქმის ერთგული და პროფესიონალი გუნდი. იციან, როგორ იმოქმედონ. გაიცანით: თამუნა კალანდარიშვილი, ნონა სადრაძე, მზია მეხუზლა, თათული მგელაძე, სალომე ჭიჭინაძე, ნინო ნარიშკინიძე, თამო ონიანი. ახალგაზრდები, რომლებიც ლიდერთა სკოლაში დადიოდნენ. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ისევ ჩვენთან დაბრუნდნენ: სოფო კალანდარიძე, ხატია ჭანიშვილი, თათია მგელაძე, გიორგი კეკელიძე. სხვებს ველოდებით...

**- ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი სულ ვითარდება. შეიქმნა ლიდერთა სკოლა, ბავშვთა თეატრი, მულტიკულტურული ლიტერატურული კაფე რვას +1...**

- პროექტები დროის მოთხოვნებს პასუხობს... ექვსი წელი მიმდინარეობდა გურული ხალხური სიმღერების პოპულარიზაციის კამპანია. მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის გვქონდა საოჯახო ტიპის სახლი. პირველი დასრულდა, როდესაც ქ. ოზურგეთში გაიხსნა ხალხური სიმღერების სკოლა. რაც შეეხება მეორეს, არასამთავრო-





ბო ორგანიზაციის გამგეობამ მიიჩნია, რომ საოჯახო ტიპის სახლებს, იმ დროს განვითარების პერსპექტივა არ ჰქონდა. ასე რომ, საქართველოს მასშტაბით ბევრ ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი. ჩვენთვის საამაყო **ლიდერთა სკოლის** კონცეფცია. 1996 წლიდან საზოგადოების ნაწილი გვკიცხავდა, – რატომ ვასწავლით ბავშვებს, რაც მათი საქმე არაა?.. დღეს, მრავლად გვაქვს მსგავსი არაფორმალური კლუბები. უფრო მეტიც, ასეთი მიდგომა საქართველოში სასკოლო სისტემაშიც დამკვიდრდა, უკვე განათლების პოლიტიკის ნაწილია. იმ დროს კი, მარტო ჩვენ ვმოღვაწეობდით, დიახ, მარტო ჩვენ!.. ამიტომ, ხშირად ჩვენი მოსწავლეებიც იყვნენ, საზოგადოების მხრიდან ძალადობის მსხვერპლნი... წინააღმდეგობებმა კი, გაგვადლიერა. დღეს, ჩვენი აღზრდილების უმეტესობა იცავს ადამიანის უფლებებს, ხელმძღვანელობს სხვადასხვა ორგანიზაციებს, უწყებებსა და პროგრამებს. მჯერა, ისინი შეცვლიან სამყაროს უკეთესობისაკენ...

– **დაარსდა ლიდერ პედაგოგთა სკოლა. სასკოლო ცხოვრებაში მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი...**

– პედაგოგებმა ბავშვებს სწორად აზროვნება უნდა ასწავლონ. პარტნიორი სკოლის მასწავლებლებთან ერთად, ვუბიძგებთ პროგრესული აზროვნებისკენ. საჯარო სკოლებში, მართლაც, ცვლილებების დროა. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ იქ ბავშვების სამყაროა, ამიტომ, ფრთხილად და დაკვირვებით იმოქმედონ...

– **თქვენი ორგანიზაციის მიზანია, ადგილობრივების სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესება. სიღარიბის დასაძლევად, მზა რეცეპტი არ გვაქვს... ყველა თაობის თანმდევი დილემაა!..**

– ვფიქრობ, სოციალური კეთილდღეობის გასაღები განათლებაა. დიახ, ჩვენს ქვეყანაში სიღარიბე მესამე, მეოთხე თაობას მიჰყვება. მათი შვილები საჯარო სკოლებში დადიან, თუმცა სკოლის ადმინისტრაცია ხშირად ვერ ამჩნევს. ამიტომ, ისინი სისტემის მიღმა რჩებიან. აუცილებელია, სკოლამ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოს. მოზარდებს დაეხმარონ პროფესიის არჩევაში, რომ სამომავლოდ დასძლიონ სიღარიბე. დღეს, ბევრ ადამიანს ესაჭიროება დახმარება. სამწუხაროდ, სოციალური სერვისები საქართველოში საკმარისად არ არის დანერგილი და განვითარებული. 2007 წელს ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა, სხვა ორგანიზაციებთან ერთად, შექმნა მცირე საოჯახო ტიპის სახლი მზრუნველობამოკლებული ბავშ-

ვებისთვის, რომელმაც დიდი ინსტიტუციები სკოლ-ინტერნატები ჩაანაცვლა, ხოლო 2011 წელს ხანდაზმულთა სახლი (ახალი სათემო მომსახურება). 2016 წელს დაარსდა ლიტერატურული კაფე რვას +1.

– **გურიაში რთული სოციალური ფონია. როგორ შევუმსუბუქოთ ყოფა?..**

– თქვენს შეკითხვაზე პასუხის გაცემა რთულია... სახელმწიფო პოლიტიკა სწორად უნდა დაიგეგმოს, ჩაერთონ გამოცდილი სპეციალისტები. ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი ატარებს კვლევებს და შეფასებებს, როგორც საგანმანათლებლო, ისე სოციალური მიმართულებით. ვამზადებთ რეკომენდაციებს, ვანვლით შესაბამის უწყებებს, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. ბოლო სამი წლის მანძილზე, ჩვენს მიერ მომზადებული სულ მცირე ოცდათხუთმეტამდე რეკომენდაცია გაითვალისწინეს. ასევე, თხუთმეტი პროგრამა გურიის მუნიციპალიტეტების საკრებულომ და მერიამ, თუმცა საპირისპირო მაგალითსაც მოგიყვანთ. რამდენიმე წლის წინ, ორგანიზაციამ ლანჩხუთის, შემდეგ ოზურგეთის მუნიციპალიტეტებისთვის ჩაატარა კვლევა. შეაფასა ადგილობრივების სოციალურ-ეკონომიკური პროფილი და სოციალური კეთილდღეობის ინდიკატორი. კვლევის ხელმძღვანელი გახლდათ სოციოლოგიის დოქტორი იაგო კაჭკაჭიშვილი. გამოვლინდა საჭიროებები, მომზადდა რეკომენდაციები. კვლევის ანგარიში და რეკომენდაციები გადაეცით ადგილობრივ თვითმმართველობებს. დოკუმენტები იყო საუკეთესო პლატფორმა, ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის შემუშავებისთვის. სამწუხაროდ, თვითმმართველობები არ აღმოჩნდნენ მზად. ჩვენი ხედვა არ გაიზიარეს... ორგანიზაცია ასევე ჩართულია კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის კომისიების მუშაობაში. ამ ეტაპზე მომზადებულია დოკუმენტი, მიმდინარეობს დეტალური განხილვა და მსჯელობა იმ გამონკვევებზე, რომლებიც სფეროს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს...

– **ყველამ უნდა დავიცვათ მოწყვლადი ჯგუფები. როგორია მედიის როლი. პროცესში ჩართულია ადგილობრივი მედია?..**

– ცხადია, მედიამ უნდა გააშუქოს სოციალურად დაუცველების პრობლემები, ისაუბროს საგანმანათლებლო მიმართულებებზე, ეძებოს გადაჭრის გზები, ხელი შეუწყოს სხვადასხვა საკითხის პოპულარიზაციას საზოგადოებაში, ხელისუფლებასთან შეასრულოს მედიატორის როლი. ასე

რომ, თქვენ ბევრი ფუნქცია გაქვთ... ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი მედიას ხშირად აწვდის ინფორმაციას ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც პერიოდულად ვლინდება. სამომავლოდ, გამოვაცხადებთ კონკურსს, ნავახალისებთ სხვადასხვა თემებზე მომუშავე ჟურნალისტებს.

**– ქალბატონო მარინა, ერთად ვესტუმრეთ ქ. ოზურგეთში, ანასეულში ხანდაზმულთა სახლის ბენეფიციარებს. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. მოხუცები თამამად ამბობენ, – ეს ჩვენი სახლია... იქ ყველა პატივს გცემთ და უყვარხართ...**

– საქმისადმი პასუხისმგებლობას და სიყვარულს ვერ დავფარავ. ჩემთვის თითოეული პროექტი დიდი ვალდებულებაა. ალბათ, გამიმართლა, ვემსახურო ამ ადამიანებს. ჩემი განწყობა თანამშრომლებისთვისაც გადაამდებია...

**– მზრუნველობით გამოირჩევიან მომვლელები, მზარეულები.**

– ჩვენი თანამშრომლები ენერჯის არ იმურებენ, ქმნიან ისეთ გარემოს, სადაც ბენეფიციარები ღირსეულად გრძნობენ თავს. ლელა, აქ დღეგრძელთა სახლია - ვფიქრობ, ეს სახელწოდება უფრო კორექტული და თანამედროვეა. ჩვენი მიზანია, ამ ადამიანებს დრო და ხანი გავუვლამაზოთ და გავუხანგრძლივოთ...

ლამაზი ბუნება, სუფთა ჰაერი, მყუდრო გარემო, ეზოში ვარდების სურნელი ტრიალებს, მცირე მეურნეობა, ხეხილის ბაღი, ქოთნებში მარწყვის ჩითილებია, ხშირად არიან მზარეულების ასისტენტები. ჩვენ კი, იდილია დავურღვიეთ, მოხუცები ხატავდნენ. დავათვალიერეთ ბოსტანი, ვენახი. დღეგრძელთა სახლიდან ულამაზესი ხედი იშლება...

– დიას, ულამაზესი ადგილია. დიდი შრომით და სიყვარულითაა შექმნილი, ნალოლიავეები. ბენეფიციარები ტკბებიან ბუნების სილამაზით, საოცარი პეიზაჟით. ცხოვრობენ მშვიდად, თუმცა, თავიანთ სახლში სურთ დაბრუნება. საზოგადოებამ ერთად დავეხმაროთ მოხუცებს...

**ანასეულის დღეგრძელთა სახლში მეგზურობას პროფესორი ზაურ გაბრიჩიძე მიწევს...**

– ხანდაზმულს ხშირად სტუმრობენ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტები. ესაუბრებიან საინტერესო თემებზე. ყურადღებით მოისმინეს ჩემი ლექცია ანასეულის წარსული და მომავალი... ბენეფიციარებს მოსწონთ დენდროლოგიური პარკი, ანასეულელები ცხოვრებას ულამაზებენ. ამ ადამიანების მიმართ ყურადღება და აღერსი, ყველას მოვალეობაა, ამ მისიას სიამოვნებით ვასრულებთ. რაც შეეხება თანამშრომლებს და ხელმძღვანელს, მარინა თოფურისას, ბენეფიციარების მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას და სითბოს იჩენენ. მართლაც, ერთადერთი ხანდაზმულთა სახლია საქართველოში. მადლობას ვუხდით ქალბატონ მარინას და თითოეულ თანამშრომელს. ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების ყურადღების მიღმა არ რჩება ამ ადამიანების დაუღალავი ღვაწლი.

*საუბარს ყურადღებით ისმენენ ბენეფიციარები...*

– ექვსი წელი აქ ვცხოვრობ. ჩემმა ძმამ, უშანგიმ მომიყვანა. საუკეთესო ბუნებაა, ჰაერი, კარგი კვება, მოვლამატრონობა, ხალხი. აქ ჩვენი სახლია. გვსურს, ბათუმის ხანდაზმულთა სახლს ვესტუმროთ. ყოველივე ეს ქალბატონი მარინას დამსახურებაა. მადლობას ვუხდით. შეკრული გუნდი ვართ, – ამბობს შოთა ბერიძე.

– ქალაქ ზუგდიდიდან ვარ. ხშირად დავდიოდი ეკლესიაში. სასმელს ვეტანებოდი, დედა მარიამი მეუბნებოდა, – ისეთ ადგილზე წაგიყვან, სადაც სასმელი არ იქნება.

აქ მოსვლა, დედაოს და მეუფე გერასიმეს დამსახურებაა. უკვე ხუთი წელი სრულდება. სასმელს თავი დავანებე, ლუდსაც არ ვსვამ. აქ გამომიჩნდა ნამდვილი პატრონი. რამდენიმე დღე ზუგდიდში წავედი, ისე მომენატრა აქაურობა, მალე დავბრუნდი, – გვიყვება ვახტანგ დოჩია.

– სოფელ დევაბზუში ვცხოვრობდი, შვილიშვილმა სახლი გამიყიდა, დაბრუნება მინდა, მაგრამ შეუძლებელია. ქალბატონი მარინა სულ მამშვიდებს, სითბოს და ყურადღებას იჩენს, – აცრემლებული თვალებით ამბობს გალინა ნილოსანი.

– სოფელ მერიიდან ვარ. სახლში მარტო ვცხოვრობდი. ქალბატონი მარინა არა მარტო ჩვენი სახლის უფროსია, საუკეთესო შემოქმედია. თანამშრომლები მზრუნველობას იჩენენ. ხშირად ვეხმარებით მზარეულებს, – გვიყვება ლიანა მამულაშვილი.

– უკრაინელი ვარ, ვმუშაობდი ოზურგეთის ფაბრიკებში და ქარხნებში. ექვსი წელი სრულდება, რაც აქ ვარ. სხვაგან არ წავალ. საუკეთესო თანამშრომლებია, გამოვარჩევ ქალბატონ მარინას, ის არის ჩვენი პატრონი, – იმედიანად საუბრობს ინა მოსკალენკო.

*ქალბატონი მარინა მომლიმარი სახით უცქერს...*

**– როგორ მოხვდეს მსურველი ანასეულის დღეგრძელთა სახლში, თუ მოხუცს ჰყავს ბიოლოგიური ოჯახი, სახელმწიფო არ არის ვალდებული, იზრუნოს. ასევე, იზღუდება სხვისი უფლებები, ეს საკითხი კანონმდებლობით მონესრიგებულია?..**

– ვისაც ბიოლოგიური შვილები და ნათესავები ჰყავს, ხანდაზმულზე სიცოცხლის ბოლომდე უნდა იზრუნოს. სახელმწიფომ მხოლოდ იმ ადამიანებზე აიღოს პასუხისმგებლობა, რომლებსაც არ ჰყავს შვილი, დაინტერესებული ნათესავი, ან ჰყავს შშმ შვილი, შეზღუდული აქვს თვითმოვლის უნარი. მუნიციპალიტეტებში უნდა დაინერგოს შინმოვლის პროგრამები. გაძლიერდეს სოციალური სააგენტოს როლი ხანდაზმულთა პრობლემების ადვოკატირების პროცესში. რაც კანონმდებლობითაა მონესრიგებული, აღსრულების ნაწილშია ხარვეზი. საკანონმდებლო ბაზა ამ მიმართულებით უნდა შეფასდეს. მოცემულ ეტაპზე, ორგანიზაცია მუშაობს რეკომენდაციებზე, ვთანამშრომლობთ შესაბამის უწყებებთან, ვფიქრობთ, სასურველ შედეგს მივაღწევთ...

**– თვითმმართველობის ფუნქციაა ადამიანებთან მაქსიმალური სიახლოვე. მათი პრობლემების დროული გადაწყვეტა. ეს ვალდებულება თქვენმა ორგანიზაციამ იტვირთა. ასე გაგრძელდება მომავალში?..**

– მართალია, ეს ჩვენი ხვედრია. არასამთავრობო ორგანიზაციების ადგილი და როლი იქ არის, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობა ვერ უზრუნველყოფს, მათ თანადგომას და დახმარებას. მოქალაქეები ზოგჯერ ისეთი პრობლემებზე გვიყვებიან, რაც ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. ჩვენი ვალდებულებაა მათი გასაჭირი იმ უწყებამდე მივიტანოთ, რომელსაც დახმარება ხელწინაა, – ზოგჯერ გამოგვდის, ზოგჯერ არა... მთავარია, რწმენა და დაუღალავი შრომა. ჩვენი მიზანია, ვასწავლოთ ახალგაზრდებს, როგორ შექმნან უკეთესი მომავალი, სამართლიანი გარემო. წარმატებული თაობა შეცვლის სამყაროს უკეთესობისაკენ...

ლელა, გამადლობთ.

# ԲԸՉԵՐԻՎԵԼՈՒՆ ՆԱԽԸՆՆԵՄԸ





# ამაზონის ჯუნგლები დაამინის ფილტვები...

ამაზონი მსოფლიოში ყველაზე დიდი ტროპიკული ტყეა. მისი ფართობი 5,5 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტია. რაც ნიშნავს, რომ ის დაახლოებით 17-ჯერ დაიტევს ინგლისსა და ირლანდიას.

ამაზონის ტყე მდებარეობს სამხრეთ ამერიკაში. მოიცავს მთელ ბრაზილიას, ბოლივიას, პერუს, ეკვადორს, კოლუმბიას, ვენესუელას, გაიანას, სურინამს, საფრანგეთის გვიანას.

ჯუნგლების ჩრდილოეთით, მოედინება მდინარე ამაზონი, რომელიც 6840 კილომეტრზეა გადაჭიმული. ერთმანეთთან მილიონობით სხვადასხვა წყლის არხს აკავშირებს. ამაზონს მდინარეების დედოფალს უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ მდინარე ამაზონზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, მეცნიერების უმეტესობა თანხმდება, რომ ის ნილოსის შემდეგ, მსოფლიოში ყველაზე გრძელი მდინარეა.

2007 წელს მარტილ სტრელმა მდინარე ამაზონი გადაცურა. მარტილი 66 დღე, წყალში 10 საათზე მეტს ატარებდა.

ამაზონის ჯუნგლების მნიშვნელოვანი ნაწილი, აბორიგენული ტომები, ბუნებასთან ჰარმონიაში საუკუნეები ცხოვრობს. ამაზონში 400-მდე სხვადასხვა ტომი და 300-მდე სხვადასხვა ენაა. თითოეულს უნიკალური კულტურა და ცოდნა აქვს... უმეტესობას, დაახლოებით 50%-ს გარესამყაროსთან კონტაქტი არასდროს ჰქონია. ამაზონის ეკოსისტემის განადგურებას, მოჰყვება ადგილობრივების გაქრობა, დაგროვილი ცოდნისა და კულტურის სამუდამოდ დაკარგვა.

ამაზონის ტყეს მდიდარი ეკოსისტემა აქვს. ჯუნგლებში შეგვხვდებათ დაახლოებით 40 000-მდე სხვადასხვა მცენარის ჯიშში, 1300 ფრინველი, 3000 სახეობის თევზი, 430 ძუძუმწოვარი და 2,5 მილიონი განსხვავებული სახეობის მწერი.

ამაზონის ტყე ერთდროულად მომხიბვლელიც არის და სასიკვდილოც. იქ ბინადრობენ საშიში და შხამიანი გველები, ხორცის მჭამელი პირანიები, შხამიანი ბაყაყები და იაგუარები.

ბუნებრივი სილამაზის ამ უზარმაზარ ნაწილს დედამინის ფილტვებს უწოდებენ, – მცენარეები ატმოსფეროდან ნახშირორჟანგს ითვისებენ, სანაცვლოდ, ატმოსფეროში ჟანგბადს ათავისუფლებენ. დედამინას ჟანგბადის 20%-ი ამაზონის ჯუნგლებიდან მიეწოდება.

ადამიანის ქმედებების შედეგად, ატმოსფეროში დიდი რაოდენობით გამოთავისუფლებული ნახშირორჟანგი, დედამინის გლობალურ დათბობას იწვევს. ამაზონის ჯუნგლები ამ ტრენდის წინააღმდეგ, დედამინის ერთ-ერთი ბუნებრივი ბუფერული, დამცავი მექანიზმია. მასშტაბურმა ხანძარმა ამაზონში 800 ჰა ტყის მასივი გაანადგურა.

დედამინის ფილტვები უკვე თვრამეტი დღე იწვის...



National Geographic საქართველო 23 აგვისტო

# ურეკის მომავალი...

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, საპროექტო ინსტიტუტში საქალაქმშენპროექტში მომზადდა და დამტკიცდა კურორტ ურეკის განვითარების გენერალური გეგმა. ასევე, მშენებლობის დეტალური დაგეგმარების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა პირველი ეტაპის განაშენიანების დასრულების შემდეგ, ერთდროულად 20 000 დამსვენებლის მიღებას და მომსახურებას. ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო, ამ გრანდიოზული გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა...

ურეკის პლაჟი, მართლაც, საუკეთესოა, – ქვიშა წვრილი ფრაქციის, მუქი, მორუხო ფერის, შეიცავს მაგნეტიტურ ნაერთებს. ზღვა მთელი ნაპირის გასწვრივ დაბალია.

როგორც კლიმატურმა, ასევე, სამკურნალო ფაქტორებმა, ურეკს საკურორტო მშენებლობისთვის კარგი პირობები შეუქმნა...

კურორტ ურეკის სამკურნალო ფაქტორებია:

ა) ზემო სასუნთქი ორგანოების არატუბერკულოზური ქრონიკული დაავადებანი.

ბ) რაქიტის ნარჩენი მოვლენები.

გ) სამოძრაო-საყრდენი ორგანოების ქრონიკული დაავადებანი (რევმატიზმისა და რევმატული ართრიტების გარდა).

დ) ძვალ-სახსართა ტუბერკულოზი.

ე) სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი.

ვ) ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთი მოშლილობანი, გენერალური გეგმით, კურორტის სიმძლავრე ერთდროულად 20 000 დამსვენებლისთვისაა გათვალისწინებული. აქედან, 10 000 სანოლი დაეთმობა ზვეშეთა კონტინგენტს, სამკურნალო-პროფილაქტიკისთვის. 10 000 სანოლი დიდებს.

კურორტი მთელი წელი იმუშავებს. კლიმატური პროცედურები, სითბური რეჟიმის გამოყენებით, გატარდება აპრილის თვიდან ოქტომბრის ჩათვლით. დანარჩენ თვეებში გახანგრძლივდება დახურულ დარბაზებში.

პირველი რიგის მშენებლობისთვის, პროექტით შერჩეულია ტერიტორია ურეკი-შეკვეთილის ზონაში, მდინარე სეფას ორივე ნაპირზე. მარცხენა ნაპირი 300 ჰა ფარგლებში დაეთმობა საბავშვო კურორტს, ხოლო მარჯვენა ნაპირზე იქნება დასასვენებელი დიდებისათვის.

საბავშვო კურორტი, რომელიც ითვლება გამსხვილებულ კომპლექსად – 10 000 ბავშვზე, ერთდროულად იყოფა ექვს ქვეკომპლექსად – თითოეული 2000 დამსვენებლისთვის.

I ქვეკომპლექსი საბავშვო კურორტის ჩრდილოეთ ნაწილში, საპროექტო ტბის სამხრეთითაა განლაგებული. განკუთვნილია 15-18 წლის მოზარდებისთვის.

II და III ქვეკომპლექსები სანატორიული ტიპის პიონერთა ბანაკებისთვის, სადაც დაისვენებენ 10-14 წლის ბავშვები.

IV ქვეკომპლექსი სრული სანატორიული უმცროსი ბავშვებისთვის.

V ქვეკომპლექსი დედათა და ბავშვთა სანატორიუმებისთვისაა განკუთვნილი.

ბავშვთა დაწესებულებები სამსართულიანია, გარდა დედათა და ბავშვთა სანატორიუმებისა, რომლებიც დასაშვებია, იყოს მრავალსართულიანი (ცხრასართულიანი).

საბავშვო დაწესებულებები შედგება ორი კორპუსისგან, თითოეული 800 სანოლზე, ისინი ურთიერთშორის ბლოკირებულია ერთსართულიანი სასადილოთი, 400 ადგილზე. კორპუსები ზღვის მიმართ მართობულადაა განლაგებული, რაც საშუალებას გვაძლევს, საძინებელ ოთახებს მივცეთ ოპტიმალური ორიენტაცია (სამხრეთი), რომელიც ურეკის პირობებში, სასურველია წლის ყველა დროს.

საბავშვო კურორტი დაგეგმილია სამსაფეხურიანი მომსახურებით: კვება, სწავლა, კულტურულ-სანახაობრივი,



სპორტული, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სამედიცინო-ადმინისტრაციული, მიმღები და სამეურნეო.

თითოეული საბავშვო კომპლექსი 2000 სანოლზეა გათვლილი, ყველა იმ მომსახურებით, რაც აუცილებელია მათთვის:

ა) კორპუსში გათვალისწინებულია საძინებელი და საკლასო ოთახები, სამზარეულო-სასადილო ბლოკი.

ბ) ცალკე კლუბი სპორტდარბაზით, ღია ესტრადა, გასართობი და სპორტული ბაქნები ღია ცის ქვეშ.

გ) ღია ცის ქვეშ, კარგ ამინდში ძილისთვის მოწყობა ბაქნები. მათი გადახურვა, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მსუბუქი ასანოები კონსტრუქციებით.

დ) მოზარდთა კომპლექსისთვის, რომელიც განთავსებულია ხელოვნური ტბის მახლობლად, გათვალისწინებულია სპორტული ბაზის მშენებლობა ნყალსაჯომარდო სპორტისთვის, აქვეა ღია საცურაო აუზი ტრიბუნებით.

ე) საბავშვო კურორტის ცენტრალური ნაწილის წინ სააღლუმო ბაქანია. გაიმართება შეკრებები და სადღესასწაულო ღონისძიებები. ბაქანი ორიენტირებულია ტრიბუნებით ზღვისკენ.

ყველა კომპლექსისთვის დაგეგმილია დამოუკიდებელი გასასვლელი პლაჟზე. პლაჟი იქნება კეთილმოწყობილი საპროცედურო-საპლაჟო მონოპოლიზაციით.

პლაჟისპირა ზოლი, პროექტის მიხედვით, გამწვანდება პარტიკულ-დეკორატიული ხე-მცენარეებით, ნაწილობრივ შერეული მაღალტენიანი ხეებთან ჩრდილისთვის.

საკურორტი დაწესებულების უკან, აღმოსავლეთით განთავსებულია შემდეგი ობიექტები: საყოფაცხოვრებო კომბინატი, მიმღები პუნქტები იზოლატორით, საავარიო პერსონალის საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები, სასადილო ბლოკი სრული პერსონალისთვის, დახურული საცურაო სპორტული აუზი და დარბაზი, სტადიონი ტრიბუნით და სათადარიგო სავაჯიმო მოედანი ფეხბურთისთვის, სხვა სპორტულ ბაქნებთან ერთად. აქვეა საერთო საკურორტო ცენტრი: ადმინისტრაციული სახლი, პოლიკლინიკა (საკონსულტაციო), კინოთეატრის დარბაზი, ბიბლიოთეკა, მთავარი ლაბორატორია, აფთიაქი, კაფე, საპარიკმახერო, ფოტოატელიე, საგამოფენო დარბაზი და სხვ.

ბავშვთა დიდი კონტინგენტის ერთ გამსხვილებულ საკურორტო კომპლექსში კონცენტრირებამ, განაპირობა ინფექციური სავადმყოფოს აუცილებლობა. განთავსდება საბავშვო კურორტის ზონის გარეთ, ტყეპარკში – იზოლირებული საკურორტო ობიექტებისგან.

ზღვისპირა ნახევარკილომეტრიანი ზოლი დაეთმობა საკურორტო დაწესებულებებს – იზოლირებული სატრანსპორტო მოძრაობისგან.

ტრანსპორტის მოძრაობა საბავშვო კურორტზე შემდეგი პრინციპითაა განსაზღვრული: მთავარი საკურორტო მაგისტრალიდან, რომელიც 50 მ. სიგანისაა, მოწყობა ოთხი სატრანსპორტო შესასვლელი. ძირითადი შესასვლელი კურორტის კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრშია გათვალისწინებული. ტერიტორიაზე შესასვლელი ურთიერთკავშირშია გზებით. გზიდან ყველა კორპუსს აქვს დამოუკიდებელი მისასვლელი. საბავშვო კურორტის ტერიტორიაზე საზოგადო ტრანსპორტით მოძრაობა, დაუშვებელია.

*გივი თოთიბაძე  
პროექტის მთავარი არქიტექტორი და ავტორი*

# ბუნების საოცრება - შავი მაგნიტური ქვიშის სანაპირო



ზურაბ ახალაია



რამაზ ქვიშვილი

გეოლოგიური გარემოებების თანხვედრის შედეგად, ურეკის პლაჟი მსოფლიოში შავი მაგნიტური ქვიშის ერთადერთი სანაპიროა. მთებიდან ზღვაში ქვიშა საუკუნეები ჩამოჰქონდა ორ პატარა მდინარეს – კუჩხის აბანოს და სეფას, რომლებიც ურეკზე გაედინება. შტორმების დროს, ზღვა ქვიშას უკან, სანაპიროზე გამოიყვავდა. მდინარეები – სუფსა და ნატანები ურეკის სანაპიროზე შორ მანძილზე გავრცელების საშუალებას არ აძლევდა. ინტენსიური შავი ქვიშის პლაჟის ორ კილომეტრს იკავებდნენ განკურნების მსურველი მოაგარაკები...

კურორტის სამკურნალო ფაქტორებს, პანსიონატ მეგობრობის ბაზაზე, მრავალი წელი იკვლევდნენ, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიის მეცნიერ-თანამშრომლები, პროფესორ გ. უშვერიძის თაოსნობით. პანსიონატის ხელმძღვანელი იყო, კურორტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი სამედიცინო ფაქტორების მკვლევარი ნიკა ქარსივაძე.

სანატორიუმი მეგობრობა ურეკის ფლაგმანია... ქალბატონი ცისანა მეგრელიშვილი 1969 წლიდან მუშაობს. 2004 წლიდან იყო დაწესებულების მენეჯერი. ტრადიცია გრძელდება. 2016 წელს შვილიშვილი, ზურაბ ახალაია ჩაუდგა სათავეში... სანატორიუმი დროის მოთხოვნებს პასუხობს, რაც ახალგაზრდა და წარმატებული მენეჯერის დამსახურებაა.

ფიზიკა-მატემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, შუქრი თავართქილაძე ურეკის სამკურნალო ფაქტორების კვლევებისა და პრაქტიკაში დანერგვის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარეა. საბჭოში თხუთმეტი პროფესორია გაერთიანებული.

თერაპევტ რამაზ ქვიშვილის თქმით, ბუნებრივი მონაცემები სამკურნალო ფაქტორებში გარდაისახება. ურეკი, მართლაც, მომავლის კურორტია...

სამედიცინო კორპუსში ხალხმრავლობაა. სანატორიუმის რეაბილიტოლოგ-მასაჟისტმა, ლალი ხომერიკმა, ნინო და ანა ფარცვანიები გასინჯა:

– გოგონებს ტანდებობის დარღვევა აქვთ. ვინცებთ მასაჟს, ჩაუტარდებათ სპეციალური ვარჯიშები. თხუთმეტი პროცენტით სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ, დამოუკიდებლად უნდა გააგრძელონ. მშობლებმა ვარჯიშები ვიდეოგადაღებით დაიმახსოვრონ. პარალელურად კარგია ცურვა. ნინოს და ანას მზრუნველი მშობლები ჰყავთ. მჯერა. ყველა მითითებას შეასრულებენ.

– ლალი, პანსიონატში ოცდათორმეტი წელი მუშაობთ.

კვალიფიციური და გამოცდილი მედპერსონალი, ზრდის პაციენტების ნდობას...

– ლელა, ჩემს ხელში თაობებმა გამოიარეს. ახლა, შვილები და შვილიშვილები მოჰყავთ. ვმკურნალობთ ცერებრალურ დამბლას, პოსტტრავმული სტრესის შემდგომ პერიოდს, აუტიზმით დაავადებულებს, დისპლაზიებს, ამოვარდნილობას, რაქიტს, სქოლიოზს, ტანდებობის დარღვევას, მენჯ-ბარძაყის პრობლემებს. მართალია, კოქსართოზს ვერ ვარჩენთ, საჭიროა ოპერაციული ჩარევა, თუმცა პერიოდს ვახანგრძლივებთ. ყველა პათოლოგიას შესაბამისი მასაჟი და ვარჯიში აქვს. ემატება ბუნებრივი ფაქტორები – მაგნიტური ქვიშა, D ვიტამინით გამდიდრებული მზე. გვყავს ქრონიკული პაციენტები (ასე ვუნოდებთ), რომლებიც ერთი წლის შემდეგ, ისევ მოდიან... კედელზე გამოკრულია ხერხემლის გამრუდების ტესტი. ყველა მშობელმა, ნელინადმი ერთხელ უნდა შეამოწმოს, ბავშვს რა მდგომარეობა აქვს ხერხემალზე, ხომ არ იწყება გამრუდება, თუ სიმპტომებს შენიშნავს, სასწრაფოდ დაიწყონ პროცედურა. ვმუშაობ I, II, III ხარისხის პათოლოგიებზე. მკურნალობის დროს თუ ბავშვი მომყვება, კარგ შედეგს ვიღებთ... ბოლო თხუთმეტი წლის გამოცდილებამ დაგვანახა, საგანგაშოდ გახშირებულია, სქოლიოზი და ტანდებობის დარღვევა. ასევე, კარგია პროფილაქტიკა.

– რას გვიჩვენებს ტესტი?..

– დავხატე ხერხემლის გამრუდების გამოსავლენი ტესტი: ბეჭები უნდა იყოს სიმეტრიული, ხერხემალი სწორი, თეძოები და კოჭის ძვლები თანაბარი, წინა მხარეს, თავის ხაზს რომ ჩამოვყვებით, სწორი. ძუძუს დვრილები თანაბარ სიმაღლეზე, კისრის კუნთები, ბეჭების დახრილობა თანაბარი, წელზე შეზნექილი მონაკვეთები, რომლებსაც ლორწის სამკუთხედს ვუნოდებთ, სიმეტრიული. როდესაც ბავშვს გადახრი, მალე არ უნდა გამოჩნდეს. თუ ჩვენი ჩამონათვალიდან სამი-ოთხი აღინიშნა, აქვს ხერხემლის გამრუდება. დროულად ვინცებთ მასაჟს და ვარჯიშს...

– რამაზ, რა დაავადებებს მკურნალობთ?..

– სამედიცინო ინსტიტუტის დასრულების შემდეგ, ლანჩხუთში დავბრუნდი. ოცი სეზონი ურეკში ვარ. ექიმები ვმუშაობთ ენთუზიაზმით, მაგრამ მომავლის იმედით... ლელა, ვრცელი ჩამონათვალია: ბავშვებში გაძვალეების დარღვევა, ძვალ-სახსროვანი დაავადებები მოზრდილებში, ოსტეოპოროზები, ართრიტები, ართროზები, პერიფერიული ნერვული სისტემის პათოლოგიები, ცენტრალური დაზიანებით გამოწვეული დაავადებები, როგორცაა ბავშვებში ცერებრალური დამბლა, დიდებში ინსულტის შემდგომი პერიოდი. გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, არტერიული სისხლძარღვების უკმარისობა. დაბტეიანებში მიმდინარეობს შაქრის დონის დაქვეითება. პაციენტები ხშირად აღნიშნავენ, – ვარღვევთ დიეტას, თუმცა შაქარი ქვემოთ იწევს. სასუნთქი გზების დაავადებები, ქრონიკული ბრონქიტები, კანის დაავადებები, ფსორიაზი, ენდოკრინული დაავადებები, ჰიპოთირეოზი, არტერიული წნევა, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა. გვაქვს ევკალიპტის აბაზანები. ევკალიპტის ხე-მცენარე შეიცავს ეთერზეთებს. ახსიათებს ანტიბაქტერიული და ანტისეპტიკური თვისებები. სუფთავდება და იკვებება კანი, აბაზანაში ყოფნის დროს, პაციენტი ავტომატურად იღებს ინჰალაციას.

ასევე, ევკალიპტის ხსნარს ვიყენებთ ინჰალაციისთვის – ბავშვებში მწვავე რესპირატორული დაავადებების, ხოლო მოზრდილებში – ქრონიკული ბრონქიტების დროს. ევკალიპტის აბაზანები ხსნის კუნთოვან და ძვალ-სახსროვან ტკივილებს. როგორც ყველა კურორტს, ურეკსაც აქვს უკუჩვენება: ახალწარმონაქმნები ანუ სიმსივნეები – კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი, მაღალი არტერიული წნევა, გულის უკმარისობის მწვავე ფორმები, სუნთქვის უკმარისობა, ბრონქიალური ასთმა, ვენური უკმარისობა. ამ დაავადებების მქონე პაციენტებისთვის, ურეკში დასვენება და რეაბილიტაცია არ არის რეკომენდირებული.

**– როგორ მიმდინარეობს მკურნალობა?**

– მკურნალობის მეთოდია: ფიზკულტურა, მასაჟი, მაგნიტურ ქვიშას აქვს რბილი გამაყუჩებელი ეფექტი. ბოლო კვლევებით, მაგნეტიტის შემცველობა გრიგოლეთში და შეკვეთილშიც დადასტურდა, თუმცა ყველაზე მაღალი ურეკშია. კურორტს აქვს პოტენციალი, გახდეს სამედიცინო-რეაბილიტაციის ტურიზმის ცენტრი. შარშან ჩვენთან ისვენებდა რუსი ტუროპერატორი, გვარად სააკიანი. ურეკმა მასზე ცუდი შთაბეჭდილება დატოვა: ინფრატრუქტურული პრობლემები, კურორტი ტექნიკური წყლით მარაგდება, დამსვენებლები სასმელ წყალს ყიდულობენ. მაღაზიებში პროდუქტებზე ფასები მოუწესრიგებელია, დაბინძურებული პლაჟი, უსახური შენობები. გვითხა, – როგორ გაუწევთ კონკურენციას თურქეთის კურორტების ინფრასტრუქტურას?! ტუროპერატორს სახსრები აწუხებდა. ერთი კვირის შემდეგ, შემხვდა და მითხრა, – ექიმო, ნუ ქვიშა, მართლაც, უნიკალურია. ხელი არ მტკივა. ასე რომ, მაგნიტურმა ქვიშამ ყველა პრობლემა გადაფარა... ქართველები ზარმაცი ერი ვართ, ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს არ ვუფრთხილდებით!..

**– ურეკში ქოტური ვითარება... მაგრამ...**

– დიას, მაგრამ... მთავარია, მოეწყოს ინფრასტრუქტურა, შენობების მფლობელებს დაევალოთ, შეცვალონ იერსახე, ისეთი სივნიროვეა, სასწრაფო და სახანძრო დახმარების მანქანები ვერ შედის. სასმელი წყლის პრობლემა, კანალიზაცია...

**– ვინ უნდა იზრუნოს კურორტის განვითარებაზე?..**

– ვის ბალანსზეც არის ქონება. ან შემოიყვანოს ინვესტორი, რომელიც თანხას დააბანდებს...

**– სახელმწიფომ დროული და ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას. განვითარდეს სამედიცინო ტურიზმი. ამ მხრივ ურეკი გამორჩეულია...**

– რა თქმა უნდა, ურეკის პლაჟი შეიცავს დიდი რაოდენობით ტიტანო-მაგნეტიტს (70%-მდე პლაჟის ქვიშის მაგნიტურ კომპონენტში), რომელსაც მსოფლიოში ქვიშის პლაჟის კურორტებს შორის, ანალოგი არ მოეძებნება. ურეკში რბილი სუბტროპიკული კლიმატია, მთის ჰაერი, რომელიც გაჯერებულია პლაჟის მიმდებარე ფიჭვნარის არომატით. სანატორიუმს აქვს საკუთარი სამედიცინო პოლიკლინიკა. პაციენტებს ემსახურება თერაპევტი, პედიატრი, ნევროპათოლოგი, კარდიოლოგი, ორთოპედი, ექიმ-მასაჟისტი, ექიმთან კონსულტაციის შემდეგ, იწყება სათანადო მკურნალობა. თუმცა, არ გვყავს რეაბიტოლოგი, ფიზიოთერაპევტი, თანამედროვე დონის მასაჟისტები და ფიზკულტურისტები. პაციენტებს უტარდებათ კოსმეტიკური და არა სამკურნალო მასაჟი. თუ გამართულად ვიმუშავებთ, კურორტი ექვსი თვე გახანგრძლივდება.

სანატორიუმ მეგობრობის ახალ მენეჯერთან ერთად, საცხოვრებელი კორპუსები, დიდი სასადილო და შედეურ საშარეულო დავათვალიერე...

**– ზურა, როდის დაიწყე საქმიანობა?**

– სამი წლის წინ დავინიშნე მენეჯერად. ლტოლვილები თოთხმეტი წელი ცხოვრობდნენ. ცუდ მდგომარეობაში დატოვეს. ნელ-ნელა აღდგა. სანატორიუმში მდებარეობს ზღვისპირა ფიჭვნარში, რომლის ტერიტორიაა 1,7 ჰა, აქვს 300 მ. სიგანის საკუთარი პლაჟი. 3 ორსართულიანი და 2 სამსართულიანი კორპუსები. 2 სასადილო 150-200 ადგილით, სამჯერადი კვებით, ახალი ხორციით და პროდუქტებით. 150 ადგილიანი საკონფერენციო დარბაზი, ერთი სამედიცინო კორპუსი, სამკურნალო ფიზკულტურის დარბაზი, 80 თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ნომერი (ლუქსი, ნახევრადლუქსი, დუპლექსი). ყველა ნომერში არის ცხელი წყალი დღე-ღამის განმავლობაში. ტელევიზორი, მაცივარი, კონდიციონერი, უფასო ინტერნეტი Wifi. მომსახურებაში შედის დამსვენებლების დახვედრა, გაცილება, ავია და სარკინიგზო ბილეთების დაჯავშნა.

**– სანატორიუმის მთავარი დანიშნულებაა, პაციენტების მკურნალობა...**


– რა თქმა უნდა, ძირითადად ის კონტინგენცია, რომელსაც მკურნალობა ესაჭიროება. უახლოეს მომავალში სამედიცინო კორპუსი აღიჭურვება ახალი ინვენტარით, დაემატება პროცედურები – წყლის, ტალახის აბაზანები, ქვიშის გაცხელება, უამინდობის დროს, წელიწადის ნებისმიერ დროს, ჩაუტარდებათ პროცედურები. მოეწყობა გადაუდებელი ოთახები, დაემატება მასაჟის კაბინეტები. თბილისის და ბათუმის მერია გასცემს ვაუჩერებს.


**– რა თანხით აფინანსებს თბილისის და ბათუმის მერია?**

– თბილისის მერია ერთ ბენეფიციარს და თანმხლებს აფინანსებს 700 ლარით. ბათუმი 480 ლარით ერთ ბენეფიციარს და 480 ლარით თანმხლებს. ასევე, აფინანსებს შშმ პირებს, ომის ვეტერანებს, ასაკით პენსიონერებს, მრავალშვილიან ოჯახებს, სოციალურად დაუცველებს. ბათუმის მერია უფრო ორგანიზებულია. ავტონომიურ რესპუბლიკას მეტი ფულადი სახსრები აქვს სოციალური მიმართულებით. თბილისი მარტო შშმ ბავშვებს აფინანსებს. ქუთაისის მერია აცხადებს ტენდერს. ამ თანხაში ვთავაზობთ სამედიცინო მომსახურებას. ხშირად ვინვევთ მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექიმებს, ვითვალისწინებთ მათ რეკომენდაციებს. გვსურს, დავენერგოთ მკურნალობის თანამედროვე მეთოდები.

P.S. ურეკს აქვს ტურისტული პოტენციალი, მოხვდეს მსოფლიოს წამყვან ზღვისპირა კურორტებში. განვითარდეს სამედიცინო ტურიზმი. მრავალპროფილური სანატორიუმში მეგობრობა, პირველი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომლის ბაზაზეც შეიქმნა კურორტი, მომავალში ფლაგმანის როლს შეასრულებს...

ლელა სურმაჯა  
ურეკი, 29 აგვისტო, 2019.





ადამიანი მოცემულობაა, რომელიც ადამიანამდე უნდა ამაღლდეს. ბატონი ბიჭიკო აქ, მიწიერ სამყაროში ამაღლდა ადამიანამდე. ქვიანიდან მარტო ჩამოვიდა და თავისით გაიკვალა გზა. უცხოეთში წასვლა არასდროს უფიქრია. წიგნის მკითხველებს გიხმობთ, ერთად გავეცნოთ, ახალგაზრდებმა კი, გაითვალისწინონ ნიჭიერი და შრომისმოყვარე კაცის ცხოვრების გაკვეთილები...

ბატონმა ბიჭიკომ საქართველოში შექმნა პირველი კერძო კლინიკა – საოჯახო ფირმა ასკურავა. იგი გახლავთ საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის ხალხური მედიცინის პროფესორი, ალბერტ შვეიცერის პრემიისა და მოსკოვის საერთაშორისო სახალხო მკურნალთა გამოფენის ლაურეატი, დაჯილდოებულია აშშ-ს ჰუმანური ღირსების მედლით.

ასკურავების სამკურნალო სახლის მეორე სართულზე, მისაღები ოთახის ბუხარზე გარდაცვლილი შვილის, ირაკლის ფოტოა. აქ მისი სული ტრიალებს, მათ გვერდითაა, ზეციური სამყაროდან ეხმიანება. დედას ეალერსება და ამშვიდებს... მაგრამ... დედა თავს ვერ ინუგეშებს. შვილის გარდაცვალების ტკივილს, შვილთაშვილები – ირაკლი და გუგა ასკურავები უმსუბუქებს.

– ლელა, პაციენტები ხშირად ითხოვდნენ, ირაკლიმ გვიმკურნალოს. ძალიან თბილი ბიჭი იყო. ალბათ, სათანადო ყურადღება ვერ დავუთმე, – ვამზადებდი საფენებს, ყოველდღე ორასამდე ადამიანი მოდიოდა, ვეხმარებოდი შეჭირვებულებს. შვილების მოვლა, სტუმრების გამასპინძლება, – ყველაფერს ვასწრებდი. 52 წელი ბიჭიკოს სულ გვერდით ვედექი. ჩემი დედამთილი, ანა აბუსერიძე მირჩევდა, – ჯანმრთელობას გაუფრთხილდი და ენერგია დაზოგე, მალე დაიღლებიო. მართლაც, ასე მოხდა. ზედმეტად დავიტვირთე თავი. თუმცა, ასეთია ქალის ხვედრი...

კარზე ისევ ზარის ხმაა. პაციენტი მოვიდა. მკურნალი რენტგენო-სურათს აკვირდება, მოტეხილ ფეხს საფენით უხვევს, გულთბილად ისტუმრებს, და საუბარს ვაგრძელებთ...

ბიჭიკო ასკურავას საიუბილეო ღონისძიება გაიმართა მცხეთის სამკურნალო სახლში.

ქალბატონო მადონა და ბატონო ბიჭიკო, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, მრავალი ადამიანის და თქვენი დიდი ოჯახის სასიკეთოდ.

ლელა სურმავა



მცხეთის სამკურნალო სახლი



ანექდოტები



ომის დროს გურული სანგარშია და ყვირის:
- ექიმი, ჩქარა ექიმი!
- რა გჭირს, დაჭრილი ხარ?
- არა, მარა რომ დევიჭრა, სად გეძიო მერე!..



სახლში მიდის მთვრალი გურული:
- ღვინო და არაყია შენი მტერი და მომსპობი - ეუბნება ცოლი.
- ცა, რა გინდა მერე, მტერს რაფერ შეეუშინდე!..



გურული გააჩერა პატრულმა:
- მოქალაქე, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობთ.
- მაჩვენე რადარი.
- არ გვაქვს, ბატონო!
გადირია გურული, - აბა, რაფერ მიხვთი ჩქარა რომ მოვდიოდი, მანქანა იყო გაოფლილი?..



გურული მამაკაცის კომპლიმენტი:
- რაფერი ლამაზი ტანი გაქ ცა...
- ცურვაზე დავდივარ და მაგიზა.
- მერე ხანდახან თავიც ჩაყევი წყალში!..



ნარკომანი ადის ავტობუსში და ყვირის;
- ყველა მკიდიხართ...
გურული ბებო დაუძახებს, - ა, აქანა ჩამომხსენი ბებია, ჩავდივარ!



გურული ომში გერმანელ დაჭრილს ნაანყდება.
გერმანელი კვნესის და ყვირის, - მუტერ, მუტერ!
გურული გაკვირვებული იტყვის, - კვტება აი შობელძალდი და კიდო იგი ახსოვს...



გურულმა ფეხბურთზე დააგვიანა, შეხედა ტაბლოს და 6:0 ერთმანეთის სასარგებლოდ.
- დიდი ხანია დეინყო მატჩი? - ჰკითხა მეგობარს.
- არა, ამ მინუტში.
- აბა, აი გოლები გატანილი ჩამეიტანეს?..



გურული ქალი სამოთხეში არ გაჩერდა:
- იმფერი სიმშვიდე იყო, მკტარი მეგონა ჩემი თავიო...



გურულის ახალშობილი ბავშვი მეზობელმა მოინახულა:
- აი ბალანა პოლიტიკოსი გამუა...
- კი მარა, საიდან შეატყვევ?...
- ჩაჯმულია კისრამდე და არ იმჩნევს...



რაჭველს გამოცდაზე ეკითხებიან:
- აბა, რა შედის ბოსტნეულში?
- ქვე თუ არ შემოუღობე, გოჭუნია შედის ხანდახან!..



სვანმა ბიჭი მკურნალთან მიიყვანა. მკურნალი ეკითხება:
- გვარი მითხარით...
- ვისი, ჩემი თუ ჩემი შვილის?..



სვანი მკურნალთან მივიდა:
- რა პროფესიის ხარ? - ეკითხება.
- სვანი ვარ ბატონო...



გურულს ბირჟაზე ელადავებიან:
- გევიგე, ერთი კვერცხი გქონია...
- კარგად მომისმინე ძამა, შენ ცოლს უთხარი, სახლში ამბების მოტანას თავი დაანებოს!..



გურულს ჰკითხეს:
- ამდენი აბდლობის თქმას, რაფერ ასწრებთ გურულები?
- პირადად მე ადრე ვდგებო, - უპასუხა გურულმა.



გურულს ჰკითხეს:
- როგორ გაატარე ზაფხული?
- როგორ ძამა და თვალი გავაყოლე...



გურული და მეგრელი ნარდს თამაშობენ:
გააგორებს გურული და დასვამს ღუშაშს.



გააგორებს მეგრელი და... დუიაქე...
გააგორებს გურული და ისევ დუშაშს დასვამს.
გადაირევა მეგრელი...
- რეიზა ბრაზობ, ძამა - ამშვიდებს გურული, სექსი ხომ არაა, ორივემ რომ ვისიამოვნოთ?..



ორი გურული საუბრობს:
- ძამა, არ გინდა, რეგოლუცია მუანყოთ?
- მაი რავა არ მინდა, ძამა, მარა, ისევ ჩვენ რომ მევიდეთ მთავრობაში?..



გურული ექიმთან მივიდა:
- ექიმო, ძალიან მტკივა ჭიპქეშა ალაგი.
- გაიხადე და გაგსინჯავ.
- რავა, ჩემი არ გჯერა?!



სომეხი ექსკურსიიდან დაბრუნდა. მეგობრებმა ჰკითხეს:
- რა დაათვალიერე?
- აი, ის ეკლესია რომაა...
- რომელი?
- ისა რა... პრარაბს რომ ხელო მოაჩრეს...



გურულს ექიმმა წამალი გამოუნერა:
- მიიღეთ დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგ.
- სამჯერ რომ ვჭამდე, ძამა, ავად კი არ გავხდებოდი!..



მოსემ უფალს შესჩივლა:
- უფალო, რა ამბავია ათი მცნება, ხუთი რომ იყოს, არ ჯობია?
- მოსე, ნუ მევაჭრები...
- რატომ? აბა, სად წერია, არ ივაჭრო...



გურულს ჰკითხეს:
- წნევას რამდენს ატარებ?
გურულმა იფიქრა, ახლა არ მევიჯაყო.
- 400, 500.
- რას ამბობ ძამა?
- რაია, ახლა წყნარათ ვარ, თვარა, რომ გადვირევი ქე ადის 1000 და 1500-ზე.

## პრომეთეს მღვიმე

დიდი ბილიკი ხან იკარგებოდა, ხან ჩნდებოდა. იღუმალ გარემოში ისმოდა ნვეთების სიმფონია. ვათვალღერებდი გამოქვაბულებს, გაქვავებულ ჩანჩქერებს, სტალაგმიტებს და სტალაქტიტებს, მინისქვეშ დაგუბებულ ტბებს. მღვიმის პირველალმომჩენი ჯუმბერ ჯიშკარიანი იყო ჩემი მეგზური და მასპინძელი...

მოგ ზაურობა დასრულდა. ერთმანეთს დავემშვიდობეთ. მინისქვეშეთის ხელმწიფე თავის საუფლოში დაბრუნდა. მღვიმე ისევ უნდა გააცოცხლოს, სული ჩაბეროს, და კიდევ ბევრი დამთვალღერებელი მოხიბლოს...

ლელა სურმავა

ჟურნალ გურია REGION  
რედაქტორ-გამომცემელი

ISSN 2346-7606



9 772346 760009